სამრევლო მაცნე

№14 (791)
ოთხშაბათი
16 აპრილი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

№14 (791) 16.IV. 2025 წ.

კომისიის კვალდაკვალ

გელა ზედელაშვილის პოზიცია

სახრით ნაცემი გიორგი გახარია, ეშმაკთან გაფუჭებული საქმე და აპლოდისმენტები თეა წულუკიანს

ამხანაგი „არ მახსოვს“

ყველას გვეგონა, საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე არ მივიდოდა. ყველა წინაპირობა მიანიშნებდა იმაზე, რომ ამ კომისიას არ აღიარებდა, ბრიფინგიც დანიშნა 14 აპრილს 12 საათზე, მაგრამ როგორც თვითონ „ბრძანა“, გადაიფიქრა, ანუ მივიდა. რატომ გადაიფიქრა? თეა წულუკიანს მიმართა, თქვენ ამ კომისიას ჰიბრიდული და ფსიქოლოგიური ზეწოლისთვის იყენებთ საზოგადოების წინააღმდეგო, მე კი ვალდებული ვარ, ამას შევეწინააღმდეგოო.

გახარიამ დაიწყო აგრესიულად, დიდაქტიკური ტონით. ეს კაცი ყველაფერთან ერთად ბრიყვიც ყოფილა, როგორც ჩანს, ეს იცოდა თეა წულუკიანმა და უცებ ალაგმა აგრესიული გახარია, ანუ მოსვა თავის ადგილზე. აიბნა, აირია, გაცეტდა, გავიდა მომსახურების ზონიდან, გადავიდა დაუკრეფავში, გადაჭყლიტა ღობეები და ბოლოს წულუკიანმა ისიც კი უთხრა, რას ამბობ, კაცო, რეებს ლაპარაკობ? ალუდა ღუდუშაურმაც შეუტია - რას გვიყვირი, რას აკეთებ, რას გვაბოლებო? არადა, მაგარი ბოლი გაუშვა ყოფილმა პრემიერმა, ტყუილად არ ეძახიან „ვოზდუხას“. მეო, აქ იმიტომაც მოვედი, ანწუხელიძის სახელის გაუფასურების მცდელობა დავინახეო. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ამ კომისიას ვაღიარებო, - ისევ სცადა გახარიამ „პალაჟენიის დაყენება“ სხდომაზე, მაგრამ ისევ ჩაფლავდა. მან თავიდანვე წამგებიანი პოზიცია აირჩია - ეგონა, წულუკიანთან სიტყვიერ პაექრობას მოიგებდა. ამაზეა ნათქვამი, მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო.

მოდით, გავაანალიზოთ, პირველად სად „გაიჭედა“ გახარია? მან დაუფიქრებლად განაცხადა, 20 ივნისს სპეციალური საშუალებების გამოყენების ბრძანება გავეცი მე, გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ წყალი და ცრემლსადენი გაზიო.

აქვე გაჩნდა შეკითხვა: ვინ გასცა ბრძანება რეზინის ტყვიების გამოყენებისა?

თეა წულუკიანი ჩაეძია, არაერთხელ გაუმეორა.

გახარიას მტკიცებით, იმ ღამეს იცავდა სახელმწიფოს და არა პარტიას, ან ხელისუფლებას:

„მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ გავრილოვის აღმოჩენა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში, იყო იდიოტური შეცდომა, მაგრამ დღეს უკვე ასე აღარ ვფიქრობ. ის პროცესები, რომელიც შემდგომ მოხდა, 2021 წლის 18 თებერვალს, ჩემი გადადგომის ღამეს, ძალიან იდენტურად იმეორებდა ყველაფერს, რაც მოხდა 20 ივნისს. ამის ცოცხალი მაგალითი ხართ თქვენ, ქალბატონო თავმჯდომარე. სწორედ იმ ღამეს თქვენ, როგორც სხვა ბევრი, როდესაც ინფორმაციას გაწვდიდით და საქმის კურსში გაყენებდით მიმდინარე ოპერატიულ მდგომარეობაზე, როგორც პოლიტსაბჭოს, ასევე მთავრობას, თქვენ, უმრავლესობა ემხრობოდით იმ პოზიციას, რომ იმ ღამეს მელიას დაკავება იქნებოდა შეცდომა. თუმცა მაშინაც „უჩინარი კაცი“, როგორც ჩანს, ჩაერთო პროცესების მართვაში და თქვენ ყველას შეგაცვლევინათ აზრი, ზუსტად ერთ საათში ყველა თქვენგანი გაქრა“.

ვინ იგულისხმა ბატონმა გახარიამ „უჩინარ კაცში“? რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი. თუმცა უკან დასახევი გზა მაინც დაიტოვა - როგორც ჩანსო, ალბათო, პირდაპირ ხელის დადება მაინც ვერ გაბედა.

ერთ ხანობას თეა წულუკიანმა დაყვავებაც სცადა, დასაკითხი ობიექტისთვის თავზე ხელი არ გადაუსვამს, მაგრამ სიტუაციის დამშვიდება მაინც სცადა - მართალია, თქვენ არაღიარებული ორგანოს წინაშე ზიხართ და პოლიტიკურად სერიოზულად რაღაცების გაგების პრობლემები გაქვთ, მაგრამ მაინც მადლობას გიხდით, რომ მოხვედითო. როგორც ჩანს, „დასაკითხი“ (გახარიას ასე მოვიხსენიებ, რადგან თვითონ წულუკიანს კომისიის თავმჯდომარეს ეძახდა, ხოლო დანარჩენებს - კომისიის წევრებს) წულუკიანის მადლობამ ისევ „გააბლატავა“ და იცით, როგორი გამომეტყველებით დაიწყო ლაპარაკი? იცით, მის მიმართვებში რანაირი გონორი იგრძნობოდა? თქვენ ვინ ხართ? რას წარმოადგენთ? თქვენ ხომ ერთ დროს ჩემი ხელქვეითები იყავით? წულუკიანს წამოაძახა კიდევაც, არ გრცხვენია, ინტერესთა კონფლიქტში რომ ხარ გახვეულიო? შენ ხომ ერთ დროს ჩემი მოადგილე იყავიო? თეამ აქაც გასცა საკადრისი პასუხი და „დასაკითხი ობიექტიც“ დროებით დაოკდა.

მივყვეთ კომისიის სხდომის პერიპეტიებს, გავარკვიოთ, რატომ გამოიყენეს 20 ივნისს რეზინის ტყვიები, როცა ამის საჭიროება არ ყოფილა. ალექსანდრე ტაბატაძემ, რომელიც იმ პერიოდში სახალმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე იყო, დასვა ასეთი შეკითხვა: „რატომ მოიხმარეს პოლიციელებმა ვანო მერაბიშვილის დროს შემოტანილი რეზინის ტყვიები? ხომ იცით, რეზინის ტყვიები ერთმანეთისგან განსხვავდება, არის ერთი წყება, რომელიც ნაკლებ დამაზიანებელია, არის მეორე, რომელიც ძლიერად აზიანებს“.

„დასაკითხი“ მიედო, მოედო, ესაო, ისაო და... თქვენ ბუქსაობთო. აქ ისევ მოუხდა თეა წულუკიანს ყვითელი ბარათის ჩვენება - აღარ ხართ პრემიერი, ნუ უზრდელობთ, ვინ ბუქსაობს, მაგასაც ვხედავ მეო. აქვე დასძინა, თურმე დადიხართ და ლაპარაკობთ, „ქართულ ოცნებაში“ ინტელექტი არავის აქვსო. ინტელექტი სამჯერ უხსენა წულუკიანმა და იმან, იმ დასაკითხმა - უინტელექტოებში თქვენ არ მიგულისხმიხართო. თქვენი არ ვიცი და მე კი აშკარად დავინახე, რომ თეა წულუკიანისა გახარიას ძალიან ეშინია, როგორც ჩანს, მოადგილეობის პერიოდში არაერთ მავნე ჩვევაში ჰყავს შემჩნეულ-გამოჭერილი.

აქვე ალუდა ღუდუშაურმა დაუმატა - იცოდე, არა მხოლოდ პასუხების არგაუცემლობაა დასჯადი, არამედ ურთიერთგამომრიცხავი პასუხებიცო.

დასაკითხმა - რას მემუქრებით, მე არავისი და არაფრის არ მეშინიაო!

წულუკიანმა - ვიცით, რომ არ გეშინიათ, ტანკისტი იყავით ომამდეო!

დასაკითხმა - მე პოლიტიკური პასუხისმგებლობა მე აღებული მაქვს ყველაფერზეო.

ოპაااა... წულუკიანს კიდე ეს უნდოდა? დაიწყო ჩაკითხვების სერია - შენი პოლიტიკური პასუხისმგებლობა რაში გამოიხატებაო? აი, მაგალითად, კობახიძემ აიღო პასუხისმგებლობა და მიუხედავად იმისა, რომ არაფერ შუაში იყო, პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადადგაო.

გახარიას, აშკარად ჩანს, კობახიძის ჯინი სჭირს - მიდის, მოდის, წამდაუწუმ ახსენებს, გავრილოვი მაგან ჩამოიყვანა და მისი მასპინძელიც ეგ იყოო. ამ კამათში გაირკვა, რომ მაგ კონფერენციას თუ სიმპოზიუმს ზაქარია ქუცნაშვილი ხელმძღვანელობდა და კობახიძე არაფერ შუაში იყო, როცა გავრილოვი პარლამენტის თავმჯდომარის ქათქათა სავარძელში მოკალათდა, იგი ოფიციალური ვიზიტით ბაქოში იმყოფებოდა. კობახიძე მხოლოდ იმიტომ გადადგა, რომ გავრილოვი მის სავარძელში ჩაჯდა.

„დასაკითხმა“ განაგრძო - 20 ივნისის ღამეს ოთახიდან ოთახში გადავდიოდი, პარლამენტარებს ვამშვიდებდიო. უმრავლესობის წევრებს ვურეკავდით, ძალად მოგვყავდნენ, პარლამენტის შენობა „ნაცებით“ იყო გადატენილი, მაგათ აქტივისტებიც კი შემოიყვანესო.

სოზარ სუბარი შეეკამათა, ვინ მოგყავდა ძალად, ქვემოთ ოთახები გაძეძგილი იყო, ყველანი იქ ვიყავით, რატომ იტყუებიო? გაიხსენე, მე გითხარი კიდევაც, რეზინის ტყვიები არ გამოიყენოთ, 2011 წლის 26 მაისს საშინელება რომ დაატრიალეს, ეგ არ გაიმეოროო.

დასაკითხმა - მე არ ვიცი, ვინ გასცა რეზინის ტყვიების გამოყენების ბრძანებაო, მე რაციით შევატყობინე ყველას, არ გამოეყენებინათ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პოლიციელების სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდაო.

ესე იგი, შინაგან საქმეთა მინისტრმა არაფერი იცოდა რეზინის ტყვიების გამოყენების შესახებ. მე პირადად არ მჯერა, მაგრამ მით უმეტეს, თუ ასე იყო, თუ ასე მოხდა, მეორე დღესვე უნდა გადამდგარიყო.

„დასაკითხს“ აქ იმდენი შეკითხვები და პრეტენზიები დააყარეს, ჯერ აღელდა, მერე შეშფოთდა და... ისაო, თუ არ მომისმენთ, გავალო... როცა მზად იქნებით ჩემს მოსასმენად, მერე მოვალო. მერე თეა წულუკიანს სთხოვა - ქალბატონო თავმჯდომარევ, შეიძლება მომეხმაროთო?

თეამ - მოგეხმარებით, მაგრამ

ერთ შეკითხვაზე მიპასუხეთო: თქვენ ყველა ნიუანსს აკონტროლებდით და ახლა ამბობთ, პოლიციელებმა თვითნებურად იმოქმედეს, რეზინის ტყვიების გამოყენებაზე ბრძანება მე არ გამიციაო?

სოზარ სუბარმაც წამოიწყო საუბარი... დასაკითხმა, ნუ მეჩრებიო, დაკვირვებაც არ სჭირდება იმას, რომ სუბარზე ალერგია აქვს.

მოდით, გავიხსენოთ, რას ამბობდა გიორგი გახარია 2019 წელი 11 ივლისს: „ბრძანება მე გავეცი, მე ვიმოქმედე საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის ფარგლებში, ნარინჯისფერი ტყვია არის არალეტალური“.

გიორგი გახარია 2025 წლის 14 აპრილს: „არ ვიცი, ვინ გასცა რეზინის ტყვიების გამოყენების ბრძანება“.

ისევ გაიჭედა „დასაკითხი“ - ახლა წავალ, როცა მზად იქნებით, მოვალ, რას მათამაშებთო?

თეამ - სათამაშოა მაკა გომურის თვალიო?!

ბიჯოოოოო... ისევ მიმართა მუდარით წულუკიანს, დამეხმარეთო.

თეამ - მე თქვენს დახმარებას ვცდილობდი, როცა ვიცე-პრემიერი ვიყავი, ახლა ვეღარ დაგეხმარებითო.

მოკლედ, თეას იუმორი აქვს, ბევრი ვერ დაიკვეხნის. რამდენი ლირიკული გადახვევა დააპირა „დასაკითხმა“, იმდენი გააბაიბურა და გაამატრაბაზა.

სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, სამჯერ გაიმეორა - ასე მგონია, „ნაცების“ კომისიაში ვარ მოსულიო.

გამოგიტყდებით, მაზაკვალმა გახარიამ ისეთი ტონით დაიწყო ლაპარაკი, ვიფიქრე, ახლა ყველას ჩაჭრის, ჭკუას ასწავლის და კუთხეშიც დააყენებს-მეთქი. არ გავიდა დაახლოებით 10 წუთი და... ვაი, ვაი, ვაი, თვითონ გახდა კუთხეში დასაყენებელ-გასაშოლტი. როგორ გითხრათ... მე ცხოვრებაში ჩაჭრილი პოლიტიკოსიც მინახავს, დაბნეულიც, ეშმაკიც, გოთვერანიც, გათახსირებულიც, გაუთახსირებელიც, აფერისტიც, მაიმუნიც, მაგრამ ეგეთი მატყუარა, ჯიბიდან გავარდნილი, ფლიდი და ამავე დროს ჩვარი არასდროს მინახავს.

წულუკიანმა ისევ შეახსენა პოლიტიკური პასუხისმგებლობა - თქვენ იღებთ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და ამავე დროს აგრძელებთ პოლიტიკაში ყოფნას, გეგონება ბალი ათი შაურიაო.

„დასაკითხმა“ - მე ერთადერთი ვიყავი თქვენს რიგებში, რომელიც ნებით გადავდექი, „ქართულ ოცნებას“ ასეთი სხვა არავინ ჰყოლიაო.

ისევ ტყუის! ბიძინა ივანიშვილი ორჯერ გადადგა თავისი ნებით!

რაკი მის აფერისტობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ აქვე ვიტყვი: იგი წამდაუწუმ იმეორებდა, რომ ესა და ეს ფაქტი არ ახსოვს, ვერ იხსენებს, დაავიწყდა და ასე შემდეგ. მაგალითად, მან სიამაყით თქვა, გადადგომამდე ორი დღით ადრე აშშ-ის ელჩს, კელი დეგნანს შევხვდი და ბევრ რამეზე ვისაუბრეთო. ჩაეკითხნენ, მელიას დაკავებაზე ისაუბრეთო? ჯერ თქვა, არ მახსოვსო, მერე „წამოაწვინა“, დეგნანმა მითხრა, თუ დასაჭერია, დაიჭირეთ, ეგ თქვენი საშინაო საქმეაო.

ვააახ, კაცოოოო... აქ ისევ შესდგა ფეხებით წულუკიანი ამხანაგ „დასაკითხს“, სტამბულიდან რომ დაგირეკე, გახსოვს, რა მიპასუხეო? არ მახსოვსო. თუ არ გახსოვს, მაშინ შეგახსენებო და შეახსენა: „როდესაც სტამბულის აეროპორტიდან დაგირეკეთ, უცნაურად მომეჩვენა, რასაც ტელეფონში ვუყურებდი, რეზინის ტყვიები უკვე გამოყენებული იყო და წყალი ჯერ არა - გკითხეთ, წყალს რატომ არ იყენებთ-მეთქი - ახლა გამომყავსო და კარგი კარგიო, გასაგები იყო, არ გეცალათ“.

წყალი ახლა გამომყავსო, გაიგონეთ? წულუკიანს უთქვამს მოგვიანებით, რეზინის ტყვიები რამ გამოგაყენებინაო? ამას უპასუხნია - რა ვქნა, თეა, მეტი არ მესმის, ერთი ეკონომისტი კაცი ვარო. ამან ისევ უარყო, მაგას არ გეტყოდი, რადგან ეკონომისტი არ გახლავართო.

სოზარ სუბარმა ამოუღო და დაუდო მაგიდაზე მისივე ბიოგრაფია, სადაც სიტყვა-სიტყვით წერია, რომ ამა და ამ წელს დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. როგორც ჩანს, გახარიას არც ის ახსოვს, რა დაამთავრა და რა სპეციალობა აქვს. თვითონ ამოუჩემებია, საგარეო პოლიტიკის რაღაცა მაქვს დამთავრებულიო. აი, სოზარ სუბარს კი მიახალა - თქვენი საქმე არ არის, მე რა პროფესია მაქვსო. ასე გაბანძდა და ჩაიფეხვა ოდესღაც „ძლევამოსილი“ პრემიერ-მინისტრი. არადა, თავადვე გაიმეორა რამდენიმეჯერ - მე ძლევამოსილი ვიყავი და ახლაც იმდენად ძლევამოსილი ვარ, ჩემთვის მყოფნისო... აი, იმის მაგივრად, რომ გადადგომის შემდგომ სადმე გავქცეულიყავი და დავმალულიყავი, აქ ვზივარ და თქვენგან მუქარებს ვისმენო.

წულუკიანმა - რა მუქარებს ისმენთო? როდის დაგემუქრეთო? მუქარაც შეგვიძლია, მაგრამ რაში გვჭირდებაო? ბატონო გიორგი, რატომ არ გადადექით მინისტრობიდან, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ესეც არის, დაწერეთ განცხადება და ვინმე უარი გითხრათო?

„დასაკითხი“ ისევ აიჭრა, ისევ კობახიძეს მიახტა, გავროლოვი მაგან ჩამოიყვანა, მერე კი რესტორნიდან გააცილაო. ისევ ტყუილი და ისევ „პაპიროზი“ ერთ ადგილას, კობახიძე ვერ გააცილებდა გავრილოვს, ის მაშინ ბაქოში იმყოფებოდა.

ალბათ თქვენც (ვინც მის „გაწკეპლვას“ უყურეთ) „მოგეჩვენათ“, ბატონი „დასაკითხი“ მომენტებში არაადეკვატური იყო. მაგალითად, როცა ჰკითხეს, თქვენ თავის დროზე, პარლამენტში გამოსვლისას „ნაცებს“ დაპირდით, უნდა დაგასრულოთო, შემდგომში მათთან კოალიციაში რატომ შეხვედითო? მან იმის მტკიცება დაიწყო, თქვენ რომ გიყურებთ, ისეთ დღეში ხართ, ისევ მე მომიწევს „ნაცების“ დასრულებაო.

სოციალურ ქსელებში ბევრმა დაწერა, ეგრე იცის „კოკაინის“ მოხმარებამო, ამ დროს ადამიანი ბევრ რამეს ვერ იხსენებს და თანაც არაადეკვატური ხდება, მოვლენების სწორად შეფასება უჭირს, საკუთარი თავი კიდე ყოვლისშემძლე ჰგონიაო. რავი, აბა? მე რომ ვუყურე, ბატონ „დასაკითხს“ ყველაფერმა ერთდროულად დარია ხელი.

თუნდაც მეორე მაგალითი ავიღოთ: თქვენაო, მიმართა კომისიის წევრებს, მელიას დაკავებაში ხელი შემიშალეთ, თორემ მე ისე დავაკავებდი, მერე ვეღარ გაათავისუფლებდნენო.

ვახ, როგორ, რანაირადო? - ჩაეკითხნენ კომისიის წევრები.

როგორ და ოპერატიულადო. ეს ოპერატიულად დაკავება რას ნიშნავდა, ვერავინ გაარკვია. წულუკიანმა იქით შეუტია, ვინც შენ გირჩია, გადადქი მელიას გამოო, მაგათ გირაოს ფული შეუგროვეს მელიასო.

არაო, თქვენ მელიას დაკავება მსხვერპლით გაწყობდათო? თქვენ იცით, შიგნით რა ხდებოდაო?

რაღა დაგიმალოთ და სხდომის ფინალი ყველაზე მეტად დაძაბული გამოდგა - ნამეტნავად აჭრილმა „დასაკითხმა ობიექტმა“ საერთოდ დაკარგა გასაღები და როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, თავ კონტროლ ვეღარ უწევდა. სოზარ სუბარს ეუბნება, რას ბოდავ, რა ზღაპრებს ყვებიო? მე იმიტომ გადავდექი, რომ ბიძინა ივანიშვილმა საქმეში ჩარევა დაიწყოო. მანამდე არაერთხელ აქვს ნათქვამი, ბიძინა ივანიშვილი არაფერში ერეოდა, კონტაქტიც კი არ მქონდაო. ისევ ჩაეკითხნენ, თუ კონტაქტზე არ გამოდიოდა, რანაირად ჩაერიაო? მე მახსოვს, ამ კონტროლდაკარგულმა ერთხელ ტელევიზიით ისიც თქვა, ბიძინა ივანიშვილი რომ არ მპასუხობდა ტელეფონზე, ამიტომ გადავდექიო.

ბოლოს გაფარჩაკებულმა გახარიამ ინტრიგის ჩაგდებაც სცადა - თეა წულუკიანის კითხვაზე, აპირებს თუ არა პარლამენტში შესვლას, ისევ დაიწყო ბოდიალი და ისაო, ქალბატონო თეა, როგორც გავიგე, ზოგიერთი პარტია შეჩერებული მანდატების აღდგენას აპირებს, არ ვიცი, ამ მხრივ საქმე როგორ იქნებაო.

თეა წულუკიანის პასუხი: „მე დღეს აღდგენილი მარტო ლაზარე ვიცი, დიდება უფალს“!

მე და თქვენ აქ თეას ტაში უნდა დავუკრათ არა მხოლოდ მოსწრებული პასუხებისთვის, არამედ ყველას და ყველაფერს თავის სახელს რომ არქმევს, ამისთვის.

აი, ალუდა ღუდუშაურმა კი ნამდვილად დაარჭო ბოლო ლურსმანი გახარიას პოლიტიკურ კუბოზე - ბატონო „დასაკითხო“, თქვენ ძალიან იწვალეთ ყველა საკითხში, მაგრამ არაფერი გამოგივიდათო.

მოგვიანებით მამუკა მდინარაძემ გამართა ბრიფინგი, სადაც თქვა: გიორგი გახარია 20 ივნისის ღამეს თვითონ იყო მოსასულიერებელი, ზვიად ძიძიგურის კაბინეტის მოსასვენებელ ოთახში იწვა და არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინაო. არადა, გახარია ამბობს, „ოცნების“ დეპუტატებს იქით ვასულიერებდი, ზოგს წყალს ვთავაზობდი, ზოგს კიდე ყავასო. პრინციპში, ეს ტიპი ვისი მომსულიერებელია, ბათუმში გამოჩნდა, როცა დიტო სამხარაძემ მიძუყნა. მე ნამდვილად არ მივესალმები ასეთ „მიძუყნვებს“, მაგრამ ფაქტია, არნოლდ შვარცენეგერი ნამდვილად არ გახლავთ. თუმცა მან სხდომაზე არაერთხელ აღნიშნა - მე არავისი მეშინიაო.

რა უნდა ქნას ახლა ბატონმა გახარიამ, როცა საქმე „ნაცმოძრაობასთანაც“, ანუ ქვეყნის მთავარ ეშმაკთანაც გაიფუჭა (წამდაუწუმ იძახდა, თავი „ნაცების“ კომისიაში მგონია, „ნაცები“ მე უნდა დავამთავროო) და მის „პადელნიკ“ პარტიებთანაც? სწორად შენიშნა თეა წულუკიანმა, ახლა აღარც იქინე მიგიღებენ, აღარც აქანეო.

მართალია, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი მომხრეც უკმაყოფილო დარჩა, გახარიას პიარი გაუკეთეს, მისი მიწვევა საჭირო არ იყოო, მაგრამ თუ შავი პიარი გახარიას რამეში გამოადგება, მაშინ იყოს ასე. თუმცა, მე ვფიქრობ და ალბათ თქვენც დამეთანხმებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ასეთი გაფარჩაკება მას ნამდვილად არ აწყობდა. კიდევ ერთხელ აპლოდისმენტები თეა წულუკიანს!

დაუსჯელი მკვლელები

პარლამენტის საგამოძიებო კომისია დაკითხვების სერიას განაგრძობს, დაკითხვაზე დაზარალებულები მიდიან, დამზარალებლები - არა!

გასული კვირა ძირითადად ბუტა რობაქიძის მკვლელობისა და აფრასიძეების ამოწყვეტის საქმეებს მიეძღვნა. თუმცა იყო „ზილების საქმეც“, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილის ე. წ. ჯანყს უკავშირდება საკაშვილის წინააღმდეგ და ასევე იყო გიული ალასანიას საქმე ტექნიკური უნივერსიტეტის დატაცებულ ქონებასთან დაკავშირებით. ბევრი ადამიანი გახვია შარში ოქრუაშვილმა თავის დროზე და დაზარალა კიდევაც. ზოგი ისეთი გაბა, საერთოდ რომ არ იყო მის ვირეშმაკობასთან კავშირში. არ მივიდა ოქრუაშვილი დაკითხვაზე, სასამართლომ 20

4 გვ.

კომისიის კვალდაკვალ

3 გვ.

ათასი ლარი შეუფარდა გირაოდ. მეო, შეიძლება არც კი გადავიხადოო, „დუხზეა“ ბიჭი... სააკაშვილის ზეობის ხანაშიც იყო „დუხზე“ ცოტა ხანს, მაგრამ სპორტულებით რომ დასვეს კამერის წინ და დაზუთხული ტექსტი ათქმევინეს, მჩვარივით გახდა - არ ვარ მე ის კაციო, შემეშალაო, რაც ამას წინებზე ვილაპარაკე, სუ ტყული იყო, შურისძიების მიზნით მივქარე და ვჭამე ბებიაჩემისაო. სხვათა შორის, ალბათ, კომისია ყინწვისის საქმესაც გამოიძიებს, იმ პერიოდში იქაც არაერთი ადამიანი დააპატიმრეს, იყო ინფორმაცია, 50-მდე კაცი ტყეში გაიხიზნა, როცა გაიგეს, დაჭერას გიპირებენო. თავიდან ამ ბიჭების განადგურებას ავიაციით აპირებდნენ, მაგრამ გადაიფიქრეს თუ ვერ მოახერხეს, აღარ მახსოვს. შემდგომში არაერთ ნაწამებ ადამიანს შევხვდი და მათ ამბებს პრესაშიც ვაშუქებდი.

მოკლედ, ირაკლი ოქრუაშვილმა ქართულ პოლიტიკაში „ეპოქა“ კი შექმნა, მაგრამ ახლა ძალიან ურჩობს და თან იმ ბიძინა ივანიშვილს ერჩის, ვისი წყალობითაც საქართველოში დაბრუნდა. ისაო, შეიძლება 20-ათასიანი გირაო არც გადავიხადოო, გააჩნია, როგორ ხასიათზე ვიქნებიო. სხვათა შორისო, ძველი, ცუდი დრო რომ იყო, წინა ხელისუფლების, ბნელი და უკუნი რომ იყო, მაშინ ივანიშვილმა შემოგვითვალა, ბადრი პატარკაციშვილს ფული წაართვით, ეგეთი ადამიანები ყველაზე მტკივნეულად ამაზე რეაგირებენო, ეგეთში, ალბათ, მდიდარ ადამიანებს გულისხმობდა. ზუსტად ამ ფილოსოფიით ცხოვრობს დღესაც ეგ კაციო. ხედავთ? ისევ ჩააგდო ინტრიგა ოქრუაშვილმა, ბადრი პატარკაციშვილზე ასე და ასე თქვაო, ფული წაართვითო. ესენიც მიადგნენ და მარტო ბადრის კი არ მოუნდომეს წართმევა, ყველას წაართვეს, ვისაც კი ორიოდე „კაპეიკი“ უჭყაოდა. როცა ოქრუაშვილს (ავი ენები ამბობენ, მაგას გვარი გადაკეთებული აქვს, სინამდვილეში ოსკანიანიაო) ჰკითხეს, კომისიის სხდომაზე რატომ არ მიხვედიო, არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა, ცირკში სიარულის ასაკიდან დიდი ხანია, გამოვედიო. ჰო, ეს სიმართლეა, ცირკში სიარულის ასაკიდან მიშამ გამოიყვანა, როცა სპორტულები ჩაცვა და კამერის წინ „აღსარება“ ჩააბარებინა. ეჰ, ირაკლ, შენ მაშინ არა მხოლოდ ცირკში სიარულის ასაკიდან, კაცობიდანაც გამოხვედი!

როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, კომისიის წინაშე წარსდგა ქალბატონი ია მეტრეველი. საზოგადოებამ კარგად იცის მისი შვილის, ბუტა რობაქიძის მკვლელობის ამბავი, როგორ დააგდეს იგი წერეთლის გამზირზე მეგობრებთან ერთად, როგორ დაულაგა შსს-ის იმჟამინდელმა პრესმდივანმა გურამ დონაძემ ავტომატები და ხელყუმბარები, როგორ დადგეს სპექტაკლი, თითქოს შეიარაღებულმა ჯგუფმა ცეცხლი გაუხსნა პოლიციას, მაგრამ დედის ემოციურ მონათხრობს სულ სხვა დატვირთვა აქვს - ყველას ხელახლა გაგვეხსნა ის იარები, რაც სააკაშვილის ხროვამ მოგვაყენა 9 წლის განმავლობაში. სხდომაზე ასევე დაიკითხა ჟურნალისტი გოჩა მუკბანიანი, რომელიც იმ დროს შსს-ის პრესსამსახურში მუშაობდა. მან ღიად ისაუბრა იმაზე, თუ რას სჩადიოდა გურამ დონაძე ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის დავალებით. სხვათა შორის, გოჩა მუკბანიანმა ისიც გაიხსენა, როგორი ზეწოლა იყო მასზე, რომ გაჩუმებულიყო და გაეკეთებინა ის, რასაც დაავალებდნენ. მაკა ჩიხლაძე მომიგზავნეს ჭკუის დამრიგებლადო. ეს ის ჩიხლაძეა, დღეს შავნოდარას გადაცემაში მალაყზე რომ გადადის და ათასნაირ სიბინძურეს თხზავს.

შემდეგი გახლდათ ციცინო შავაძე, „ნაციონალების“ მიერ მოკლული როინ შავაძის მეუღლე. ერთმა მეგობარმა მითხრა, მამაჩემის სიკვდილის მერე არ მიტირია და ახლა ამ ქალის მონათხრობზე ვიტირეო. იგივე დამემართა მეც, ვუსმენდი და ცრემლები ჩამომდიოდა. ქალი ჰყვება, თითები ისე ჰქონდა დამტვრეული ჩემს ქმარს, „სკოტჩით“ დავუმაგრეთო. ადამიანი დღემდე ვერ გარკვეულა, რატომ გაწირეს ასე მისი მეუღლე. თეა წულუკიანმაც ჰკითხა და ამის თაობაზე საზოგადოებაშიც არის ცნობილი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე ოფიცერმა ბევრი იცოდა ამ ომის შესახებ და ამიტომაც მოკლეს წამებით. ეს ვერსია დაადასტურა ქალბატონმა ციცინომ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ აცნობიერებს, რატომ უნდა ეწამებინათ ასე და შემდეგ რატომ უნდა ყოფილიყო ზეწოლა მთელ ოჯახზე. ისეთი ამბები დაატრიალა სააკაშვილის ხროვამ, საფლავის გამთხრელიც კი აღარავინ აღმოჩნდა. ისმენ ამ არაერთ შემზარავ ტრაგედიას და ყოველ ჯერზე რწმუნდები, რომ რაც დღეს ხდება (ვგულისხმობ „ნაცებისა“ და მათთან გათანაბრებული დუპლეტების თავხედობას) ეს არის სწორედ დაუსჯელობის შედეგი. კი, ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ვიღაცები დაისაჯნენ, ვიღაცები ციხეშიც ისხდნენ და აჰა, აგერ, სააკაშვილიც ისჯება, მაგრამ ეს ზღვაში წვეთიც არ არის. ვინც ყველაზე მატად უნდა ისჯებოდეს, ის ისევ „ვივამედშია“ წამოკოტრიალებული, ციხე თვალითაც არ უნახავს და შეიძლება ისე მოიხადოს „სასჯელი“, არც ნახოს.

თქვენი არ ვიცი და... მე ნაღდად მაინტერესებს, მსგავსი პრეცედენტი დედამიწის ზურგზე როდისმე ყოფილა? მე მგონი, არ ყოფილა და, ალბათ, არც იქნება. აბა, სადმე გაგიგონიათ, შინაგან საქმეთა მინისტრს მრავალსულიანი ოჯახი ავიაციით დაებომბოს, კაცები ჩაეხოცოს, ბავშვები შემთხვევით გადარჩენილიყვნენ და ის ტელევიზორში ისევ ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობდეს? დიახ, ეს იყო აფრასიძეების ტრაგედია, რომელმაც მთელი საქართველო კი შეძრა, მაგრამ პასუხი არავინ აგო. როგორც სვანეთში მოკლული ომეხ აფრასიძის დედა, დოდო აფრასიძე ამბობს, მისი შვილი დასერეს და წამებით მოკლეს. მე მესმის, შეიძლება ადამიანი დამნაშავე იყოს და მისი დაპატიმრება გინდოდეს, მაგრამ ასე? ამ ფორმით? ასე არაადამიანურად? არასრულწლოვანი ბავშვების თვალწინ? თან ასეთი არაადამიანური სპეცოპერაციის შემდეგ კუბდარიც მოითხოვო და იქვე გაძღე? ლედი აფრასიძემ, მოკლულის შვილიშვილმა დაადასტურა, რომ გია ბარამიძემ მეზობლებს კუბდარი მოსთხოვა, სვანებმა კაი კუბდარის გამოცხობა იცით, გვეცით პატივი, დაგვპატიჟეთო.

დოდო აფრასიძე: „გოჩას ტყვია არ მოხვედრია, დასერეს - ომეხი ხელფეხშეკრული გაათრიეს ქუჩაში ტალახში და იქ დახვრიტეს ისე, რომ ნატყვიარით შუაზე იყო გადაჭრილი“.

გიორგი ბარამიძე აფრასიძეებზე: „ვამაყობ იმ მამაცი პოლიციელებით, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ამ საშიში კრიმინალების ბანდის დაკავების ოპერაციაში“.

დოდო აფრასიძე: „ერთმა პოლიციელმა მითხრა, ქმარი მოგიკალით, შვილი მოგიკალით, სახლი გადაგიწვით, ახლა შეგიძლია, მშვიდად იცხოვროო“.

გაიგონეთ? სანამ ესენი არ დაისჯებიან, ნაძირალა გივია თარგამაძე არ მივა დაკითხვაზე. ეს ის გივიაა, 2008 წლის ომის დროს რუსი გენერლის, ბორისოვის პირადი მძღოლი რომ იყო და მერაბიშვილთან ერთად მცხეთის რესტორნებში დაატარებდა სავახშმოდ. დიახ, ესენი აქეთ მოგვდგებიან და დაგვიძახებენ, რუსები ხართო. გირჩი ზურაბა საგამოძიებო კომისიას შეუთვლის, ნუ მაწუხებთ, თქვენთვის არ მცალიაო. არც მამუკა ხაზარაძე მივა, არც 50 ათასს გადაიხდის... სხვებიც არ მივლენ, პირიქით, თეა წულუკიანს იქით მიუგზავნიან სახლთან უდღეურებს და აყვირებენ, რომ:

„წულუკიანი მოღალატეა“, „წულუკიანი რუსია“, „წულუკიანი მონაა“!

რატომ მიუცვივდნენ წულუკიანს უვიცნი ამა ქვეყნისანი? არ იციან, რაც დაავალეს, იმას აკეთებენ. უთხრეს, გმირი ანწუხელიძე აუგად მოიხსენია, სახლთან მიდით და იყვირეთო, დააშინეთო. ესენიც მივიდნენ, არც ანწუხელიძე იციან, ვინ არი, არც მელიტონ ქანთარია და არც ზოია რუხაძე, ამათი ხელობაა, უნდა იბღავლონ.

რა თქვა ისეთი წულუკიანმა, რამაც ასერიგად გააცოფა უდღეურთა დამრიგებელი?

აი, სიტყვა-სიტყვით მისი ნათქვამი: „ყველა ბავშვს სჭირდება მშობელი სახლში და არა უაზროდ განწირული ვიღაცის პიარისთვის“.

არა? არ სჭირდება ყველა ბავშვს მშობელი? რა, ანწუხელიძე არ შეეწირა უაზრო პროვიკაციას? კი, ბატონო, მისი მოქმედება იყო გმირული, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ის, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, არ იყო დიდი პროვოკაცია? სალომე ზურაბიშვილმაც გაიგიჟა თავი და თავისი ჩიქორთული ქართულით წულუკიანს ამუნათებს - ანწუხელიძის შვილებს რას ეუბნებიო? თვითონ რას ეუბნებოდა ანწუხელიძის შვილებს, როცა დაწერა, 2008-ში ომი ქართველებმა დაიწყესო და ეს ნაბოდვარი წიგნადაც გამოსცა? რას ეუბნებოდა ჩვენს შვილებს, როცა მის ნაბოდვარს რუსები ყველა ინსტანციაში იყენებდნენ? რას ეუბნება ახლა მომავალ თაობას, აქა-იქა რომ დაწანწალებს და საქართველოს ძირს უთხრის? ამას ჯიში და გენეტიკა აქვს ასეთი, - სხვანაირად ვერც მოიქცევა.

ამჯერად ამით დავასრულებ. გამოძიება გრძელდება. კიდევ ბევრ უსიამოვნო ამბავს გავიგებთ.

გელა ზედელაშვილი

ოპოზიციის შავი დღეები

ყველა პარტიაში ნამყოფმა არმაზ ახვლედიანმა „სკანდალური“ განცხადება გააკეთა: „მე არ წარმოვადგენ ამ ოპოზიციას, მე მას ვემიჯნები იმიტომ, რომ როგორც იქცევა ახლა ოპოზიცია, ეს არის სირცხვილი და დანაშაულიც, ამათ ხელში ჩვენ ვართ შავ დღეში“!

ხედავთ? ესენი სხვებზე ამბობენ, იშლებიან, ინგრევიან, საქართველოდან გაქცევა უნდათო და ამ დროს თვითონ იშლებიან და ინგრევიან.

რა უნდა ახლა არმაზს, რას ედავება ე. წ. ოპოზიციას, რომლის ნაწილიც ცოტა ხნის წინათ თავადვე იყო? ხეირს ვეღარ ხედავს, ხეირს და სარგებელს, გამორჩენა აღარ არი, ფულიც გათავდა და სარჩო-საბადებელიც... პარლამენტი აღარაო, ხელისუფლების დამხობა - ვერაო, ბიძინას გაძევება - ვერაო, კოალიციური მთავრობა - ჩემი ფეხებიო და სადაც ხეირი არ არი, იქ არმაზს რა უნდა? - არც არაფერი!

ასლან აბაშიძესთან იყო? იყო! როცა ხეირი აღარ იყო, განერიდა? განერიდა!

„მოქკავშირში“ იყო? იყო! როცა ხეირი ვეღარ ნახა, განერიდა? განერიდა!

„ქართულ ოცნებაში“ იყო? იყო! იქ რომ რაღაცა მიჰქარა, „დააპაშოლეს“? „დააპაშოლეს“!

ბოკერიას „ევროპულ საქართველოში“ იყო? იყო! როცა ბოკერიასთან ხეირი ვეღარ ნახა, „ნაცებში“ გადახტა და პარლამენტში შევარდა? შევარდა!

ჰოდა, ახლაც ეძებს პარტიას ან ჯგუფს, სადაც ხეირი და სარჩო-საბადებელი იქნება. მართალია, ეგეთის პოვნა უკვე ძნელია, მაგრამ მოძებნის, ეჭვიც არ შეგეპაროთ. როცა არმაზი საიდანმე წამოვა ხოლმე, ყველა ფიქრობს, ახლა სად უნდა წავიდეს, ყველგან ხომ ნამყოფიაო? თუმცა უცებ „გაჩითავს“ ხოლმე ისეთ სოროს, სადაც თურმე ნამყოფი არ არი.

არმაზის გადაწყვეტილება გვაფიქრებინებს, რომ ე. წ. ოპოზიციას შავი დღეები უდგას. მარტო შავი კი არა, შავზე შავი. როგორც ეს უბედურები იქცევიან, როგორც ესენი ედებიან ღობეყორეს, სხვა რა უნდა იფიქროს ადამიანმა?

სირცხვილია უურუმსაღის პოლიტპატიმრად მოხსენიება

გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე

— ბატონო ედიშერ, 9 აპრილს მომიტინგეებმა ეს დღე გაერთიანების ნაცვლად გახლეჩის, დაპირისპირების დღედ აქციეს.

— ეს არის 9 აპრილის იდეალების შეურაცხყოფა და ფეხქვეშ გათელვა. რაც მთავარია, ამის უკან უცხო ძალები დგანან, რომლებიც აქაურ ნჯო-ებს აფინანსებენ და საზოგადოების გახლეჩას ხელს უწყობენ. დიახ, ზვიად ცეცხლაძის მამა და სხვა ე. წ. სინდისის პატიმრების მშობლები, იქ დასავლეთის სახელისუფლებო ელიტის დაკვეთით კოტრიალობდნენ. დასავლეთის რიგი ფონდები ნაძირალა გიგაურს, ლომჯარიას, მაქარაშვილს, სუბელიანს, „დაიტოვეს“, „დაფიონს“ და სხვებს უშურველად აფინანსებენ და აქეზებენ, რათა საქართველოში საზოგადოება ერთმანეთს დააპირისპირონ და შედეგად ხელისუფლება ჩამოაგდონ. ეს დღე მხოლოდ ერთ რამეზე იყო გათვლილი — დაპირისპირება მომხდარიყო და სისხლი დაღვრილიყო. უცხოეთიდან დაფინანსებულმა ძალებმა კარგად იციან, რომ ქართველი კაცისთვის დიდი შეურაცხყოფაა, როცა გმირებითვის, რომლებიც იმპერიის მიერ გამოგზავნილ ურდოებს შეეწირნენ, პატივის მიგებას ხელს უშლი. კოლექტიურ ცეცხლაძეებს ვეკითხები: თუ სმენიათ ვეტერანი ჟურნალისტის ზაირა მიქატაძის შესახებ?! ეს ქალბატონი ჩემი მეგობარი და 1989 წლის 9 აპრილის აქციის მონაწილეა, რომელიც მემორიალთან არ მიუშვეს! მას სიმწრისგან მუშტისხელა ცრემლები სდიოდა. ამ დროს მემორიალი ყვავილებით შეამკეს ელჩებმა, რომლებიც თითქოს დაღუპული გმირების დიდი ჭირისუფლები იყვნენ. სინამდვილეში, იმაზე იყვნენ დაგეშილნი, დაპირისპირება გაეღვივებინათ და ვინმე მომკვდარიყო. თუ ახალგაზრდის სისხლი დაიღვრებოდა, ეს მათთვის საუკეთესო სცენარი იქნებოდა.

ხელისუფლებამ გააანალიზა, რა შეიძლებოდა ამ დაპირისპირებას მოჰყოლოდა და საბოლოოდ, კოლექტური უგულავები, ვაშაძეები, მელიები, პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. ეს ხალხი, ვინც იქ იდგა და 9 აპრილის მონაწილეებს მემორიალთან არ უშვებდა, ფსიქიკურად არის დაავადებული. წარმოგიდგენიათ, იმ 9 აპრილის აქციის მონაწილეები მემორიალთან არ მიუშვეს და ამ დროს, ვიღაც დანიგანს ტაშისკვრით მიეგებნენ.

ჩემთვის, ასევე, შეურაცხმყოფელი იყო განაცხადი, სინდისის პატიმრების მშობლები 9 აპრილის მემორიალთან შეიკრიბნენო. სინდისის პატიმარი როგორ არის ის ადამიანი, ვინც საქართველოს პარლამენტის შენობას წვავდა, ქაშუეთის ეზოში შარდავდა, წმიდა ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლს აშარდავდა, ქართველ პოლიციელებს ცოცხლად წვავდა?! ესენი არიან სინდისის პატიმრები?! მათი მშობლები როგორ ამბობენ, ჩვენი შვილები სინდისის პატიმრები არიანო!!! ნეტავ, თუ იციან, სინდისის პატიმარი რას ნიშნავს?! ან სინდისი რა არის, საერთოდ? წარმოუდგენელი იყო მემორიალის დაფაზე უჩა აბაშიძის სურათის ხილვა სინდისის პატიმრის რანგში. ეს არის პირი, რომელიც ცოლის გაქირავებაში ფულს აკეთებდა. კოშმარული სიზმარივით არის ვიღაც უჩა აბაშიძის სინდისის პატიმრად მოხსენიება და ჩვენი გმირების მემორიალზე მისი სურათის განთავსება. მოვა დრო და 2025 წლის 9 აპრილი სასკოლო სახელმძღვანელოებში შევა, როგორც ვანდალური ფაქტი, რა დროსაც შეურაცხყოფა მიაყენეს იმ ადამიანებს, რომლებიც სამშობლოს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას იმ ავბედით ღამეს ზვარაკად შეეწირნენ. და ეს ახლანდელმა როდიონოვებმა გააკეთეს, რომლებიც მაშინაც და დღესაც ქართულ სახელმწიფოს ებრძვიან.

ამჯერად, როდიონოვის როლში აქციის სულისჩამდგმელი პაატა ბურჭულაძე მოგვევლინა, ნიჩბებიან ჯარისკაცებად კი „სინდისის პატიმრების“ სურათებით აღჭურვილი ხალხი, რომლებმაც ზაირა მიქატაძისნაირი პიროვნებები და 9 აპრილის აქციის სხვა მონაწილეები, გმირულად დაღუპული ახალგაზრდების მემორიალთან არ მიუშვეს. ამ პირების ქმედებები, **საც წაგვართმევენ. პროცესი საით მიდის?**

— ამის დამგეგმავები, ორგანიზატორები, რიგითი ოპოზიციონერები როდი არიან. გავიხსენოთ, რას ამბობს დათა თუთაშხია, როცა მას საკუთარი შვილი ტყვიას ესვრის: ეს რამ მოაფიქრებინათო. ეს სცენარებიც, რაც აქ ვითარდება, საქართველოში კი არა, დიფ სთეითის ცენტრშია მოფიქრებული. მათ ქართველი კაცის ფსიქოლოგია კარგად აქვთ შესწავლილი. კი ბატონო, 14 აპრილსაც გამოვიდნენ, ვითომ ენის დასაცავად. მერე, 19 აპრილს — აღდგომის წინა ღამეს აპირებენ გამოსვლას. პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ უნდა განიხილოს. დიახ, 80 წლის შემდეგ მეორე ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს, ამჯერად — საქართველოში. პაატა ბურჭულაძემ და სხვა გარე თუ შინაურმა ორგანიზატორებმა, ღვთისა და ერის წინაშე პასუხი უნდა აგონ. მათ საერთო-ქართული დანაშაული ჩაიდინეს.

— ოპოზიციამ აიტაცა პრემიერის განცხადება რუსეთის უცხო ძალად მოხსენიებასთან დაკავშირებით...

— ხომ გაგიგონიათ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. რუსეთი იქნება აშშ, თუ ევროკავშირი, ყველა უცხო ძალაა. მაინცდამაინც რუსი უნდა ეთქვა?! თუმცა, მეორე მხრივ, კი ბატონო, მართლები არიან, როცა ამბობენ: რუსეთი უცხო ძალა არ არისო. კოლექტიური ნაცმოძრაობისთვის რუსეთი უცხო ძალა კი არა, შინაურია. ასე რომ არ იყოს, განა ხელს მოაწერდნენ იმ ავადსახსენებელ ევროპის საბჭოს №1633 რეზოლუციას, რომლის ერთ-ერთი პირველი ხელმომწერი გიორგი თარგამაძეცაა. ყველამ შესანიშნავად იცის, რომ თარგამაძემ ყველა თავისი „პატრონი“ თხასავით გაყიდა. როცა დასჭირდება, ამათაც ისევე გაყიდის.

2025 წლის 9 აპრილს დამკვეთებიც და შემსრულებლებიც აბსოლუტურად გაშიშვლდნენ. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ 1989 წლის 9 აპრილს ჩვენი ახალგაზრდების ამოხოცვაში მხოლოდ საბჭოთა კავშირს არ მიუძღვის წვლილი. დააკვირდით, ვინ ოცნებობს ბოლო წლებია, მსხვერპლზე. გაიხსენეთ, სააკაშვილი რას ეუბნება გვარამიას: კარგი იქნება, თუ ფეხმძიმე ქალი მოკვდებაო. დააკვირდით, როგორი შეტევა განხორციელდა ქართველ პოლიციელებზე, ზურაბიშვილი პირდაპირ ამერიკიდან, თავისუფლების ქანდაკების ქვეშ მდგომი მოუწოდებდა მომიტინგეებს პოლიციელების ცოცხლად დაწვისკენ. ზოგ პოლიციელს ისეთი ჭრილობა აქვს, რომ ერის გამრავლებას ვეღარ შეძლებს. ამ გიენებს სისხლი სწყურიათ.

— თუ დავაკვირდებით, აქციის ორგანიზატორებმა თარიღების ოკუპირება დაიწყეს. ჯერ 31 მარტი იყო, მერე 9 აპრილი, ახლა 14 აპრილი და, ალბათ, 26 მაისი ველოს ჩაგდება იმ ძალებს, რომლებიც მხარს უჭერენ და აქეზებენ კოლექტიურ გიგაურებს, ლომჯარიებს, გირჩი ზურაბებს და ათას სხვა ნაოხრალს.

— ბატონო ედიშერ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გონჩარენკო ქართულად ამღერდა და ქართველ ხალხს მხარდაჭერა გამოუცხადა. რამ განაპირობა რიტორიკის მკვეთრი ცვლილება?

— მან ის გააკეთა, რაც დაავალეს. რატომ უჯიქდება უკრაინა სამშვიდობო ხელშეკრულებას? — იმიტომ, რომ იციან, რაც ელით — ფაშიზმი თუ არსებობს, ის უკრაინაშია. გონჩარენკო ზელენსკის ხროვაშია ისევე, როგორც აქაური რადიკალები — სააკაშვილის ხროვაში. ამ ორ ხროვას სასამართლოზე წარდგენა ელის. ამიტომ მათი პატრონები იმას ალაპარაკებენ, რაც თავად სურთ. დიახ, მათ პატრონებს დღეს უკრაინაში და ზოგადად, მთელ მსოფლიოში ვითარების დასტაბილურება არ აწყობთ, რადგან მოდის დრო, როცა დამნაშავეებმა ყველაფერზე პასუხი უნდა აგონ. ასე რომ, გონჩარენკოს თავისი გასჭირვებია. მას კისერზე ყულფი აქვს ჩამოცმული, რომელიც ნელ-ნელა უჭერს და რამდენადაც მეტად მოუჭერენ, მით უფრო „დატკბება“. დიახ, მას ასეთი დავალება აქვს მიცემული, თორემ ყველას კარგად გვახსოვს გონჩარენკოები, დანილოვები, პოდოლიაკები, არესტოვიჩები

თავისუფლება
ზვიად ცეცხლაძე
თავისუფლება
ვეფხია კასრაძე
ბატონი
ედიშერი
ბატონი
ედიშერი
ჯანი
ბრეჩაძე
ბატონი
ედიშერი
თავისუფლება
ლაბა სალეკრიანი
ბატონი
ედიშერი
ბატონი
ედიშერი
ბატონი
ედიშერ

ევროკავშირი წინა მსოფლიო წესრიგის ინსტიტუციაა

გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი, პროფესორი თამარ კიკნაძე:

— ქალბატონო თამარ, ჩვენი პრემიერი ანტალიაში დიპლომატიის ფორუმზე იმყოფებოდა. როგორ შეაფასებთ მის გზავნილებს?

— ნებისმიერი საერთაშორისო პლატფორმა, სადაც პირველ პირს შესაძლებლობა აქვს, აზრი დააფიქსიროს, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ირაკლი კობახიძემ ფორუმზე ყურადღება ჩვენს ევროატლანტიკურ კურსზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე გაამახვილა. მართალია, ამის შესახებ ჩანაწერი კონსტიტუციაშიც გავაკეთეთ, მაგრამ ის დღის წესრიგი, რასაც დღეს ევროპული სტრუქტურები, ევროჩინოვნიკები გვთავაზობენ, ჩვენთვის საფრთხის შემცველია. ისინი, ფაქტობრივად, ჩვენგან რუსეთთან მიმართებით კაზუს ბელის შექმნას ითხოვდნენ, რაც პატარა ქვეყნისთვის უზარმაზარი საფრთხე იქნებოდა. იმ პოლიტიკას რომ ავყოლოდით, რასაც გვთავაზობდნენ, რამდენიმე დღე გავძლებდით და მერე პარტიზანულ მოქმედებებზე გადავიდოდით, რაც თავადაც მშვენივრად იცოდნენ. ამიტომ კარგია, რომ ხელისუფლებამ ეროვნული ინტერესი დააფიქსირა და ამ საშიშ პერიოდში სიფრთხილე გამოიჩინა. ანტალიაში გამართულ დიპლომატიურ ფორუმზე პრემიერმა ევროპელი ელჩების მიმართ საკუთარი განწყობაც დააფიქსირა. ისინი ვენის კონვენციას უხეშად არღვევენ. გაუგონარია, როცა დიპკორპუსი და ევროპელი მაღალჩინოსნები საქართველოს საშინაო საქმეებში ერევიან, ოპოზიციურ მიტინგებზე სიტყვით გამოდიან და ქვეყანაში არეულობის, დესტაბილიზაციის მოწყობაში საკუთარი წვლილი შეაქვთ. ამას საქართველოს მიმართ მეგობრულ ჟესტად ვერაფრით ვერ განვიხილავთ.

— ოპოზიციამ, კობახიძე ფორუმზე შეცვლილი რიტორიკით წარსდგა, დიფ სთეითი არ უხსენებია, იმიტომ, რომ არ არსებობსო. მაშ, ვის გამოუცხადა ბრძოლა ტრამპმა — არარსებულ ძალებს?

— ეს ოპოზიციის ბრძოლის საუკეთესო ხერხია — დიფ სთეითზე აგდებით ილაპარაკონ, თითქოს ის არ არსებობს და მხოლოდ კონსპიროლოგიური თეორიაა. ამ დროს თავად ამერიკის პრეზიდენტი ლაპარაკობს დიფ სთეითზე და იმ ზიანზე, რაც აშშ-ს ამ უკანასკნელმა მიაყენა. ტრამპმა დიფ სთეითთან ბრძოლა მთავარ პრიორიტეტად დაისახა. ბუნებრივია, ოპოზიცია ვერ იტყვის, დიფ სთეითი არსებობსო რადგან იმ ბნელი ძალის წარმომადგენელი თავად არის.

— ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 89 წევრმა მხარი დაუჭირა საქართველოს შესახებ რეზოლუციას. თანამომხსენებელმა ედიტ ესტრელამ აღნიშნა, რომ ჩვენთან ყველა კუთხით რეგრესია, ივანიშვილი კი დივერსანტია, რომელიც დემოკრატიას ეწინააღმდეგება და ქვეყანას ჯოჯოხეთისკენ მიათრევს...

— ის პოლიტიკა, რასაც ისინი აწარმოებენ, უპირველესად, თავად მათ დისკრედიტაციას იწვევს. ევროსტრუქტურების შემოთავაზებები საქართველოს ინტერესებში არ ჯდება. მრავალი წელი ევროპული იდეით, ოცნებით ვიცხოვრეთ, რაც ახლა ჩვენს თვალწინ იმსხვრევა, რადგან ამ ძალების ლუსტრირება ხდება. ისინი დიფ სთეითის ისტებლიშმენტის გამტარებლები არიან. ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და ვიცით, როგორ ჩატარდა არჩევნები, ისიც ვიცით, ეს ოპოზიცია რასაც წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა თუ სხვა ევროსტრუქტურები მხარს უჭერენ ოპოზიციას, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია, იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი და ევროკავშირის ინტერესები დღეს ერთმანეთს არ ემთხვევა. ჩვენ მათი ინტერესებით ვერ ვიცხოვრებთ. მათ სურთ, ჩვენი დახმარებით თავიანთ მიზნებს მიაღწიონ, რაც საქართველოს ცუდ შედეგებს მოუტანს. მადლობა ღმერთს, ხელისუფლებამ ფრთხილი პოლიტიკა აწარმოა, თორემ ჩვენც ომში ჩართულნი აღმოვჩნდებოდით, რასაც პატარა საქართველო ვერ გაუძლებდა. ხომ ხედავთ, 46-მილიონიანი უკრაინა დაინგრა, რა ფორმით იარსებებს, ან საერთოდ თუ იარსებებს, არავინ იცის. ჩვენს შემთხვევაში კი ლაპარაკი იქნებოდა არა იმაზე, ცუდად ვიქნებოდით თუ კარგად, არამედ იმაზე, საერთოდ ვიქნებოდით თუ არა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 89 წევრი, რომელმაც რეზოლუციას ხელი მოაწერა, ან ვერ ერკვევა აღნიშნულ პროცესებში და საქართველოს ბედი საერთოდ არ ადარდებს, ან ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიზანმიმართულად მოქმედებს.

— ბოკუჩავამ განაცხადა, ქართული დელეგაცია ასამბლეაში ვერ დაბრუნდება, სანამ ახალ არჩევნებს არ ჩაატარებს და პოლიტპატიმრებს არ გაათავისუფლებსო...

— ახალი არჩევნები რომ ჩატარდეს, ოპოზიცია იმ ხმებსაც ვერ მიიღებს, რაც 2024 წლის 26 ოქტომბერს მიიღო, რადგან საკუთარი ქმედებებით თავიანთი დისკრედიტაცია მოახდინეს. ოპოზიციის რიტორიკა დესტაბილიზაციის, არეულობის შექმნას ემსახურება. შეგახსენებთ, რომ 9 აპრილს მემორიალის უზურპირება მოახდინეს და 1989 წლის 9 აპრილის აქციის მონაწილეებს იქ არ უშვებდნენ. ეს მიზანმიმართული ქმედება იყო, რადგან იცოდნენ, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა უნდა გამართულიყო და ხელისუფლების გამოწვევა სურდათ, რათა ასამბლეაზე მსჯელობის საგანი გამხდარიყო, თუ როგორ ილახება ოპოზიციის უფლებები და რა მკაცრად ექცევიან დემონსტრანტებს. ადგილი აქვს ორმაგ სტანდარტებს. ანალოგიური ქმედებებისთვის ევროპულ ქვეყნებში თავიანთ მოქალაქეებს და არამარტო მათ, ძალიან მკაცრად სჯიან.

მოსახლეობა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომებს ადევნებს თვალს, სადაც იმ რეჟიმის ლუსტრირება ხდება, რომელიც უამრავ სისასტიკეს სჩადიოდა. აშკარად იკვეთება, რომ მაშინდელ ხელისუფლებას ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები მართავდნენ, რომლებიც საქართველოს მოქალაქეების წამებით იყვნენ დაკავებულნი. ადამიანის უფლებები ყოველწამიერად ირღვეოდა. ამაზე ხმას რატომ არავინ იღებდა?! მაშინ სააკაშვილის ხელისუფლება დასავლეთისთვის მისაღები იყო. და ახლაც ამ სადისტების ხელისუფლებაში დაბრუნება სურთ. ამიტომაც არის მათი რიტორიკა, დღის წესრიგი ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელი. მეც რეჟიმისგან დაზარალებულთა რიცხვს მივეკუთვნები — რამდენიმე სამსახურიდან გამათავისუფლეს, ჩემი მეუღლე კი დააპატიმრეს, რომელიც ციხეში საკმაოდ ცუდ პირობებში იმყოფებოდა. თუმცა სხდომებზე ისეთ ისტორიებს ვისმენთ, ჩემი ამბავი მათთან რა მოსატანია.

— ევროპარლამენტარები ხელისუფლებას მოუწოდებენ, დემონსტრანტების წამების შემთხვევები გამოიძიოს, ხოლო საგამოძიებო კომისიის მუშაობას ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად ნათლავენ. ეს რაზე მიუთითებს?

— სახეზეა ორმაგი სტანდარტი. მე თუ მკითხავთ, ხალხის გაღიზიანებას დამნაშავეების მიმართ ჩვენი ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულებაც იწვევს. ის სათანადოდ არ სჯის იმ ძალებს, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით არიან დაკავებულნი. ერთი მხრივ, კომისიის მუშაობა და იმის იმედი, რომ „ნაცმოძრაობა“ გასამართლდება, პოლიტიკურ ველს საკმაოდ გააჯანსაღებს.

— ქალბატონო თამარ, ალიევმა განაცხადა, რომ საქართველოს საქმეები ქართველებმა უნდა გადაწყვიტონ და არა ბრიუსელის ბიუროკრატებმა. მისი გაღიზიანება გამოიწვია ურსულა ფონ დერ ლაიენის ორმაგმა სტანდარტმა, როცა მან უზბეკეთში „შუა დერეფნის“ პროექტზე საუბრისას, საქართველო არ ახსენა. რატომ ცდილობენ ევრობიუროკრატები რუკიდან საქართველოს გაქრობას?

— საქართველო დღეს ევროკავშირისთვის მიუღებელია, რადგან მათ მითითებებს არ ასრულებს და ეროვნულ ინტერესებზე საუბრობს. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ალიევების ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან საკუთარ ინტერესებს იცავს. შედეგად, ტერიტორიული მთლიანობაც აღიდგინეს და თავიანთ განწყობებსაც ღიად აფიქსირებენ. საქართველოსაც იგივე პოზიცია აქვს, რასაც მივესალმები. ევროპამ საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეულ ხელისუფლებას პატივი უნდა სცეს.

მე თუ მკითხავთ, ევროკავშირი წინა მსოფლიო წესრიგის ინსტიტუციაა. დღეს მსოფლიო იცვლება. ეს ინსტიტუციებიც ვერ პასუხობენ იმ მოთხოვნებს, რასაც მათ დღევანდელი პოლიტიკური რეალობა უყენებს. ამ მხრივაც გლობალურ გარდაქმნებს უნდა ველოდოთ. კარგია, რომ ხელისუფლება ფრთხილად და იმ პროცესების ადეკვატურად მოქმედებს, რაც დღეს მსოფლიოში ვითარდება.

— ბრიტანეთმა კიდევ ოთხი პირი დაასანქცირა, რასაც პაპუაშვილმა ქართულ ინსტიტუტებზე ზეწოლა უწოდა...

— ეს სანქციებიც იმ ოპერიდანაა, რასაც ორმაგ სტანდარტს ვეძახით. გარდა ამისა, გაერთიანებული სამეფო დიფ სთეითის ყველაზე აქტიურ მხარდამჭერად გვევლინება. თვითონ ამერიკასა და ინგლისს შორის განხეთქილებაა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ პატარა ქვეყანა — საქართველო დიფ სთეითზე გაცილებით ადრე ლაპარაკობდა, ვიდრე აშშ-ში ადმინისტრაცია შეიცვლებოდა. ასე რომ, ვეთანხმები ივანიშვილს და მის გუნდს — სანქციების არ უნდა შეგვეშინდეს, რადგან სიმართლე ჩვენს მხარესაა. იმედია, ყველაფერი დარეგულირდება. მტკივნეული პროცესები მიდის, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე უნდა ვიბრძოლოთ, რათა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს. ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ სანქციების არ ეშინია. მას სანქციების სანაცვლოდ ქვეყნის წინააღმდეგ წასვლას სთხოვენ. თუმცა არჩევანი უკვე გაკეთებულია. ამიტომ სანქციებით რაც უნდა დააშინონ, იგი თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის.

— სანკტ-პეტერბურგში აშშ-ის წარმომადგენელი პუტინს შეხვდა. რა შედეგს შეიძლება ველოდოთ ამ შეხვედრისგან?

— ჩემი აზრით, ამერიკელების და რუსების მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს, რაც გეოპოლიტიკური კანონზომიერებაა. ეს ვაჭრობის პროცესია, მიდის პოზიციების შეჯერება, ინტერესების თანხვედრის ძიება და ა. შ. ჩვენს ინტერესშია, რუსებმა და ამერიკელებმა მოილაპარაკონ. იმის ნაცვლად, რომ ოპოზიციას ეს პროცესი გაუხარდეს, ისინი ცალსახად, საქართველოს წინააღმდეგ მიდიან — უნდათ, რომ ამ ორმა დიდმა ქვეყანამ არ მოილაპარაკოს. ეს საშინელებაა, რაც უმეცრებით, უტვინობით, ანგარებით არის გამოწვეული.

— ბოლოს გკითხავთ, რა მისიით შეიძლება შევიდეს ევროპა უკრაინაში?

— ზოგადად, ევროპელების ასეთი აქტივობა სიცოცხლისუნარიანად არ მიმაჩნია, რადგან ლიბერალურმა პოლიტიკამ ევროპის სამხედრო სიძლიერე საკმაოდ დაასუსტა. თუ ამერიკელების პოზიცია ევროპელებისას არ დაემთხვევა, მათი ქმედებები განწირული იქნება. აშშ-ის პრეზიდენტი ცალსახად საომარი მოქმედებების შეჩერებას მოითხოვს, რაც პოზიტიური პოზიციაა. პარალელურად, ვაჭრობის პროცესი მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს. ევროპა დღეს დიფ სთეითის მხარესაა, რომელსაც სურს, სისხლისმღვრელი ომი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს და ამ უბედურების ხარჯზე მავანმა დიდი სარგებელი ნახოს.

თამარ შველიძე

ვირი რატომ?

ორი ტერორისტი კაფეში ზის და კამათობენ. მათთან ტაქტიანი მიმტანი მივიდა და შენიშვნის ნაცვლად თავაზიანად იკითხა:

– მომიტევეთ, ბატონება, მენიუზე თუ კამათობთ, დაგეხმარებით...

– არა, ერთდროულად 60 000 ადამიანისა და ერთი ვირის აფეთქებას ვგეგმავთ!

– ვირის რატომ? – გაოცდა მიმტანი.

– აი, ხომ გეუბნები, ტყუილად ვხოცავთ ხალხს! ხალხი არავის აინტერესებს-მეთქი! – უყვირა ერთმა ტერორისტმა მეორეს.

უკრაინისთვის იარაღის მიწოდების წინააღმდეგ რომელიღაც გასულ კვირას საფრანგეთში ფართომასშტაბიანი აქცია გაიმართა. პლაკატებზე, რომლებიც მონაწილეებს ეჭირათ, მოკლედ იყო გადმოცემული მათი განწყობა: „ჩვენ არ მოვკვდებით უკრაინისთვის!“ „ევროპამ უნდა წაახალისოს მშვიდობა და არა ომი!“ „ფრანგები მშვიდობის მომხრეები არიან!“ „ძირს ნატო!“ „დავიღალეთ ევროკავშირით!“

ფრანგი „პატრიოტების პარტიის“ ლიდერი ფლორიან ფილიპო: „ეს არ არის ჩვენი ომი! საფრანგეთის როლია, იყოს შუამავალი სახელმწიფო და ხელი შეუწყოს მშვიდობას და არა ომების გაღვივებას!“

საქმე ის გახლავთ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის თხოვნით, ევროპელი ლიდერები იყვნენ შეკრებილები, რათა უსაფრთხოების პაკეტის ფარგლებში უკრაინაში ჯარების გაგზავნის ერთსულოვანი გეგმა შეემუშავებინათ, თუმცა **Wall Street Journal**-ის ინფორმაციით, შეხვედრა „ევროპის სხვა ქვეყნების მხრიდან ჯარების გაგზავნის საჯარო ვალდებულების აღების გარეშე დასრულდა“.

საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო უკრაინაში სამხედროების განლაგების ინიციატივას უჭერენ მხარს და მათ გვერდზე არიან შვედეთი, დანია და ავსტრალია, თუმცა მთავარ დაბრკოლებას ქმნიან სხვა ქვეყნები, რომელთაც არ სურთ ომში თავიანთი შეიარაღებული ძალების გაგზავნა აშშ-ის მფარველობის გარეშე.

მაკრონი ამბობს, ჩემი სურვილია, ამერიკელები ჩვენ გვერდით დადგნენ, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ იმ სიტუაციისთვის, რომელშიც, შესაძლოა, ისინი არ შემოგვიერთდნენო.

კონკრეტულად მაკრონი რატომ არის ასე მოწადინებული უკრაინაში ჯარების განლაგებაზე, ვერანაირი ლოგიკის ჩართვით ვერ ხვდება თვით პუტინიც კი, რომელმაც ერთი და მრავალმნიშვნელოვანი ისღა თქვა, ეტყობა, მაკრონს ნაპოლეონი გაახსენდა, თუმცა, როგორ დაასრულა ნაპოლეონმა, გასათვალისწინებელი აქვსო.

როდესაც უკრაინას უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა სხვადასხვა თვალსაზრისით და აშშ-ში, ბაიდენის ადმინისტრაციაში მკვეთრად ანტირუსული განწყობები იყო, ევროპის ქვეყნების ჯარების გაგზავნის იდეა მაშინაც გასაჩივრდა და ახლა, როდესაც უკრაინაში აბსოლუტური „მინუს მდგომარეობაა“, რასაც თან ერთვის აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციის გაწონასწორებული მიდგომები რუსეთთან მიმართებით, რატომ უტრიალებთ თავში ეს იდეა რომელი სახელმწიფოების ლიდერებსაც უტრიალებთ, გაუგებარია.

ევროპის ქვეყნები მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ უკრაინას მეტ დახმარებას გაუგზავნიან და მეტ წვრთნებს ჩაუტარებენ. ამავდროულად, საფრანგეთი, გერმანია და გაერთიანებული სამეფო შეთანხმდნენ, რომ უკრაინაში გააგზავნიან სპეციალურ ჯგუფს, რათა ადგილზე გააანალიზონ, რა მოცულობის ჯარი დასჭირდებათ ევროპულ ძალებს რუსეთთან ჰიპოთეტური ომის შემთხვევაში.

მაკრონს ნაპოლეონი დააავიწყდა, გერმანიას — ჰიტლერი, გაერთიანებულ სამეფოს კი გადამდგარი გენერალი რიჩარდ ბარონსი აფხიზლებს „დეილი მეილიდან“, რომელიც ამბობს, რომ „ბრიტანეთი“ რუსეთის თავდასხმის მოგერიებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ვლადიმირ პუტინი ამის შესახებ წინასწარ შეატყობინებს ლონდონს თავდასხმამდე 10 წლით ადრეო. გენერალი ამბობს, რომ მისი ქვეყნის შეიარაღებული ძალები განადგურებულია და, საინტერესოა, პარალელურად, საფრანგეთისა და გერმანიის შეიარაღებული ძალები რანაირად არიან ისეთ იდეალურ ფორმაში, რომ წარმოიდგინეს, თითქოს რუსეთთან პირდაპირი ომის წარმატებით დასრულებაა შესაძლებელი?...

ამასობაში, მეორე მხარე, აშშ და რუსეთი ერთმანეთს ესაუბრებიან და ხაზგასმულად არაფრად აგდებენ ევროპელებს. მათ არავინ ეკითხება, რაზე თანხმდებიან შავ ზღვასთან დაკავშირებით და არც იმაზე, რას უნდა შეჰპირდეს ტრამპი რუსეთს. ტრამპმა იმდენი გაამხილა, რამდენიც საჭიროდ ჩათვალა — დავეხმარები რუსეთს წვდომის აღდგენაში მსოფლიო ბაზარზე სოფლის მეურნეობისა და სასუქების ექსპორტირებაში, შევამცირებ საზღვაო დაზღვევის ხარჯებს და გავაძლიერებ წვდომას პორტებსა და გადახდის სისტემებზე ასეთი ტრანზაქციებისთვისო.

მიუხედავად იმისა, რომ ტრამპს არაფერი უთქვამს რუსეთისთვის სანქციების მოხსნაზე, ევროპის ე. წ. წამყვანი ლიდერები რუსეთისთვის სანქციების მოხსნას წინსწრებით ემიჯნებიან, თურმე გერმანიისთვის ამის გაკეთება „სერიოზული შეცდომა იქნება“, კირ სტარმერისთვის — „ახლა სანქციების მოხსნის დრო არ არის.“

შფოთავენ, მოსკოვი ყველანაირად აჩვენებს, რომ გარიგების წარმართვა მძიმედ სურს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით, მოლაპარაკებების დიდი ნაწილი მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა და არ იძლევა კონფლიქტის გადაჭრის სწრაფად გადაწყვეტის საშუალებასო.

საინტერესოა, როგორ ესახებათ პროქსი ომის სწრაფად დასრულება?

ამ ომის სწრაფად შეწყვეტის ორი გზის გარდა, მოლაპარაკებებისა და გარიგების გარეშე თუ კიდევ რაიმე გზა იციან, რას მალავენ, თქვან!

სწრაფად გადაწყვეტის ერთი გზაა — უკრაინა სამარადისო უარს იტყვის ამჟამად ნატო-ში, სამომავლოდ კი ნატო-ს საპირწონე რაიმე სამხედრო ალიანსში გაწევრიანებაზე, რაც რუსეთის ინტერესებს საფრთხეს შეუქმნის; თმობს რუსეთის მოთხოვნილ ოთხ ოლქს და ტერიტორიებს იმ მდგომარეობით, როდესაც უკრაინაში აბსოლუტური „მინუს მდგომარეობაა“, რასაც თან ერთვის აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციის გაწონასწორებული მიდგომები რუსეთთან მიმართებით, რატომ უტრიალებთ თავში ეს იდეა რომელი სახელმწიფოების ლიდერებსაც უტრიალებთ, გაუგებარია.

ტრამპს თავისი საქვეყნო საქმეები აქვს. ის, რომ ევროპაზე არა მხოლოდ ის, არამედ მთელი მისი გუნდია გულაცრუებული, უკვე აშკარაა, ამდენად, სრულებით არ აინტერესებს, თავისთვის რას წყვეტენ და ალაგებენ „ევროელიტები“.

ტრამპის ადმინისტრაციამ, ფრანგულ კომპანიებს, რომლებთაც აშშ-ის მთავრობასთან კონტრაქტები გაფორმებული აქვთ „მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის“ პროგრამებზე, უარის თქმა ზრდილობიანად, მაგრამ მკაცრად მოსთხოვა: „გაცნობებთ, რომ აღმასრულებელი ბრძანება 14173 „უკანონო დისკრიმინაციის შეწყვეტისა და დამსახურებაზე დაფუძნებული შესაძლებლობების აღდგენის შესახებ“, რომელსაც ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ტრამპმა, ვრცელდება ყველა მიმწოდებელსა და მომსახურების მიმწოდებელზე, განურჩევლად მათი ეროვნებისა და იმ ქვეყნისა, სადაც ისინი მუშაობენ. მადლობელი ვიქნებით, თუ დოკუმენტს ინგლისურად შეავსებთ და ხელს მოაწერთ ხუთი დღის განმავლობაში და დაგვიბრუნებთ ელექტრონული ფოსტით. ამ დოკუმენტზე ხელმოწერას თუ არ ეთანხმებით, მადლობელი ვიქნებით, თუ მოგვაწვდით დეტალურ მიზეზს, რასაც ჩვენ გადავცემთ ჩვენს იურიდიულ სამსახურებს“, — ნათქვამია წერილში.

მაკრონი მთელ ევროპაში ჯარის შეგროვებას ცდილობს რუსეთის წინააღმდეგ და მთელი ევროპა ორ ფრონტს იყალიბებს, ცალ მხარეს რუსეთთან, მეორე მხარეს — აშშ-სთან. ევროპას შიგნიდან ხრავს გაუაზრებელი გრძელი ჭია...

კარგი, „ევროელიტებს“ რუსეთი საერთო მტრად ჰყავთ აღიარებული, რომელიც უკრაინის შემდეგ ევროპას მიადგება და ერთიანად შთანთქავს, მაგრამ ეს მათი მეგობარი აშშ რაღას მოიკიდეს მოწინააღმდეგედ?

ტრამპი არ ხუმრობს: „თუ ევროკავშირი კანადასთან ერთად შეეცდება, ეკონომიკური ზიანი მიაყენოს აშშ-ს, გაცილებით ფართო მასშტაბის ტარიფებს დავუწესებთ მათ, ვიდრე აქამდე ვგეგმავდით. ეს იმის გამო, რათა დავიცვათ ერთ დროს ორივე მათგანისთვის ყველა დროის საუკეთესო მეგობარი — ამერიკა!“

პუტინი ზის თავის ნახევარსფეროში არხეინად და 160 000 ჯარისკაცის გაწვევის შესახებ გამოაცხადა, რამაც, პირველი, ისევ საფრანგეთი შეაშფოთა და საფრანგეთის საგარეო მინისტრმა ჟან-პოლ ბარომ სასწრაფოდ გაავრცელა მოკლე ტექსტური შეტყობინება: „დღეს, ვლადიმერ პუტინმა 160 000 ჯარისკაცის გაწვევის შესახებ გამოაცხადა. ეს ბოლო 14 წლის განმავლობაში სამხედრო მობილიზაციის ყველაზე მასშტაბური კამპანიაა. მოდით, რეალობას თვალი გავუსწოროთ და საფრთხისთვის წინააღმდეგობის გასაწევად მოვემზადოთ“.

საფრანგეთის დაზვერვამ რუსეთიდან თუ „ჩიტის“ ვარიანტში რაიმე ამბავი მიუტანა მუსიე ბაროს, არ ხმაურდება, სხვა მხრივ კი, საშემოდგომო და საგაზაფხულო გაწვევები ყოველთვის იყო და არის რუსეთში (არა მხოლოდ რუსეთში) და 150 მლნ-იან რუსეთში რომ 160 000 წვევამდელი იყოს, რა არის ამაში საგანგაშო — 1-ელი აპრილიდან 15 ივლისის ჩათვლით, 18-იდან 30 წლამდე ყველა წვევამდელს გაიწვევენ.

ვფიქრობ, მას შემდეგ, რაც პუტინმა ნაპოლეონი შეახსენა მაკრონს, დილას, ბრიჯიტთან ერთად ცხელ ყავას და კრუასანებს რომ შეექცევა საპრეზიდენტო ვერანდაზე, თავის ჭიქაში პუტინის ზმანება ელანდება და ისე სცრის ტანში, იზაფრება და სხვასაც ზაფრავს — რუსეთთან საომარი ჯარი შევკრიბოთ, დაიხოცონ სხვისი შვილები, დედები, მამები, ოღონდ, ცოტა ხანი მაინც შევინარჩუნოთ ჩვენი „ელიტარული“ მდგომარეობაო.

ფაქტი ერთია, ხალხი ყველას ფეხზე ჰკიდია.

ზემოთხსენებული ანეკდოტისა არ იყოს, პუტინმა რომ თქვას, ორი „ორეშნიკი“ უნდა ვისროლო ხალხის ამოსაწყვეტად, მათგან ერთი კი, ვირს უნდა დავარტყაო, მაკრონი ჰკითხავს, ვირს რატომო?

მაია ჯელიძე

ენა კანონით უნდა იყოს დაცული



გვესაუბრება მწერალი
მერაბ შათირიშვილი:

— ბატონო მერაბ, 14 აპრილი დედაენის დაცვის დღეა. სახელმწიფო ენა ის ქვაკუთხედია, რაზეც სახელმწიფო უნდა აშენდეს. რა ვითარება გვაქვს ამ კუთხით?

— ყველამ ვიცით იმ პოლიტიკური ვითარების შესახებ, რაც ქვეყანამ 90-იანი წლებიდან მოყოლებული გამოიარა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კულტურა, ხელოვნება აღმასვლის ნაცვლად, ფსკერისკენ დაეშვა. ცხადია, ამან გავლენა ენაზეც მოახდინა. გარედან თავსმოხვეულმა უცხო იდეოლოგიამაც ქართულ ენას თავისი კვალი დაამჩნია. შედეგად, ქართული ენა დასუსტდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, რაც ქართულ ენას ასუსტებს, ქართული მწერლობის, მისი მნიშვნელობის დამცრობა, დაკნინებაა. ზოგჯერ მრცხვენია ვთქვა, რომ მწერალი ვარ, იმდენად დაუფასებელია შემოქმედის ღვაწლი. მწერლის მიერ შექმნილი თითოეული რომანი თუ ლექსი, რომელიც დღევანდელობას ეხმიანება, მომავალი თაობის ქვაკუთხედი უნდა იყოს. ამ ყველაფერს კი ენა ქმნის. სწორედ ის არის ის ქვა-კირი, რაზეც ნებისმიერი კულტურული ნაღვაწი იგება.

სავალალოა, მაგრამ ქართულ ენას ფასი დაეკარგა, რადგან მავანი დიდი ენთუზიაზმით ცდილობს, მომავალ თაობას უცხო ენა შეასწავლოს. კი ბატონო, არ ვამბობ, რომ ენების შესწავლა ცუდია, მაგრამ პირადად მე ორ ეპოქას მოვესწარი და მახსოვს, საბჭოთა კავშირის დროს ასეთივე ენთუზიაზმით ცდილობდნენ საქართველოში რუსული ენის დამკვიდრებას. ამას რაც მოჰყვა, კი ვიცით. მაშინ ენის შენარჩუნება შევძელით. იმ ეპოქამ შექმნა ღვაწლმოსილი მწერლები, მხატვრები, რეჟისორები.... სწორედ მაშინ დაიწერა „დათა თუთაშხია“. სხვაც ბევრი რამ შეიქმნა, რამაც ქართული ენა გაამდიდრა, გააძლიერა. ამას წინათ ერთ მოძღვარს ვუსმინე, რომელმაც ენასთან დაკავშირებით ასეთი რამ თქვა: ამერიკაში მცხოვრებმა ერთმა ქართველმა მითხრა, შვილები ამერიკულ სკოლაში დადიან, ამიტომ ქართული ვერ შევასწავლე, მაგრამ, სამაგიეროდ, ზედმიწევნით ქრისტიანები არიანო. იცით, რა თქვა მოძღვარმა: ისინი ზედმიწევნით ქრისტიანები ვერასდროს იქნებიან, რადგან მათ საკუთარი, ქართული ენა დაკარგესო. თუ გინდა ნამდვილი ქრისტიანი იყო, საკუთარ ენაზე უნდა აღიზარდო. შენს ენაზე გადმოცემული ემოცია, სულიერება, სულ სხვა რამ არის. ამას სხვა ენაზე ვერ შეისწავლი. ქრისტეც სწავლებაა. ღმერთი არის ენა. ამიტომ, თუ ქართველი ხარ, ქართულ ენაზე უნდა ისწავლო და არა ამერიკულზე. ქართველი ქრისტიანი სწორედ ქართული ენის წყალობით გქვია. თუ ენაში ბზარი გაჩნდა, რწმენასაც იგივე მოუვა.

— მახსოვს, წლების წინათ, როცა სარკოზი საქართველოში იმყოფებოდა, იმედი გამოთქვა, მალე აქ ფრანგულადაც ილაპარაკებენო. მან თავისი ენა საქართველოში დაიცვა. ჩვენ რა გვჭირს, რომ ჩვენსავე ქვეყანაში ვერ დაგვიცავს საკუთარი — ქართული ენა?

— კოლონიალიზმი ფრანგებს ხასიათში აქვთ. ქართულად როცა ვსაუბრობთ, ეს მხოლოდ სიტყვები კი არა, სულიერებაა. ანუ, როცა მავანი ცდილობს, ენა შემირყვნას, ამით ჩემს სულსაც რყვნის. რა გინდა? — გადამაგვარო, შენი სული ჩამინერგო და ფრანგულად ვილაპარაკო?! აი, ეს არის უბედურება. ენა მხოლოდ ენა არ არის, ის ჩემი სულია, რაც უფალთან მაახლოებს. შენ რატომ ცდილობ, შენი გზით მიმიყვანო უფალთან?! ერის დამცრობა, გადაგვარება, იგივე სულიერი დამცრობა, გადაგვარებაა. სიტყვა არის ქრისტე, რწმენა და ბოროტებაც. სიტყვას შეუძლია, ადამიანი კიდეც აცოცხლოს და კიდეც მოკლას. ასევე, სიტყვას ძალუძს, ჯვარზე გაკრულ ქრისტეს ტანჯვა შეუმსუბუქოს. სიტყვა ომია, მშვიდობაა. ამიტომ, ქართული ენის დამცრობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა. ამ საკითხზე აუცილებლად უნდა იფიქროს არამარტო განათლების სისტემამ, არამედ სახელმწიფომ. ენა ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს. გაოგნებული ვარ, როცა ქვეყანას არ აქვს ცალკე აღებული ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სადაც ამ დარგის სპეციალისტები მის გაძლიერებაზე, განვითთარებაზე იზრუნებდნენ. ამას სახელმწიფო უნდა უწყობდეს ხელს და აფინანსებდეს. ასევე, ქვეყანა ენათმეცნიერების პროფესიული განვითარებით უნდა იყოს დაინტერესებული, ისინი ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ჰყავდეს, რათა მათ შეისწავლონ და დადონ პროექტები, თუ როგორ გაუფრთხილდეს ერი ქართულ ენას.

— სახელმწიფო ენის კანონი 2015 წელს მიიღეს. მას შემდეგ ათი წელი გავიდა. რამდენად ზრუნავს სახელმწიფო, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ სახელმწიფო ენა იცოდეს. მე ვახტანგ ხარჩილავას გაზეთის წარმომადგენელი ვარ და მის სატკივარზეც აუცილებლად უნდა გკითხოთ: უნდა იცოდეს თუ არა ყველა ქართველმა ქართველური ენები: მეგრული, სვანური და ლაზური. სხვათა შორის, ამ ენების მნიშვნელობაზე კანონშიც არის საუბარი, თუმცა კანონი არ სრულდება...

— ყოველთვის ვამბობ, რომ მეგრული უმდიდრესი კუთხური ენაა. უბედნიერესი ვიქნები, თუ მოვესწრები, რომ თუნდაც მესამე-მეოთხე კლასებიდან დრო, ქართულ ენასთან ერთად, ძირძველი კუთხური ენებისა და მათში ჩამალული მარგალიტების შესწავლას დაეთმობა. ეს აუცილებელია, რადგან მეგრული და სვანური ენები, ქართული ენის, ქართველობის წიაღია.

თუმცა, მეგრული და სვანური ენების სწავლებაზე რა მოგახსენოთ, როცა სასკოლო პროგრამიდან რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ ამოიღეს. განა ბავშვმა არ უნდა იცოდეს, სად შობილა და გაზრდილა?! ჩემს ბავშვობაში ქართული ენა დამოუკიდებლად, ცალკე საგნად ისწავლებოდა, მეოთხე კლასიდან კი უცხო ენა ემატებოდა. მსიამოვნებს, რომ თქვენ ამ შეკითხვას მიაგენით და მეგრული, სვანური ენები ახსენეთ. ეს მხოლოდ კუთხური ენები არ არის, ისინი მარგალიტებით არის გამდიდრებული, გაჯერებული. მეგრული და სვანური ენები ორი ღვთიური მღვიმეა, სადაც ქართული ენა მათი საფარით არის შემოსილი და იქ ქართული ენის სიმდიდრე და მარგალიტები იმალება. ეს ზედაპირზე უნდა ამოტივტივდეს. მეგრული და სვანური ენები ყველა ქართველმა უნდა იცოდეს — აღსაზრდელმაც და აღზრდილმაც. კი ბატონო, მერე რამდენ უცხო ენასაც ისურვებს, იმდენს დაეუფლოს, მაგრამ ჯერ საკუთარი უნდა იცოდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს მცხოვრებთა დაახლოებით მეოთხედი მეგრელი მოსახლეობაა. ისინი ქართულადაც ლაპარაკობენ და მეგრულადაც. ქართველმა მეგრული ენა რატომ არ უნდა იცოდეს?! რატომ უნდა გესმოდეს ამერიკელის, ესპანელის, ფრანგის და არ გესმოდეს შენი სისხლის, ხორცის, მოყვასის, მრწამსის, ეროვნების საკუთარი — ქართველური ენა. ავიღოთ თუნდაც სვანური. ჩემი მეგობრისგან, განსვენებული სოსო ჯაჭვლიანისგან მსმენია სვანური სიტყვები, რომლის მნიშვნელობაზე ენათმეცნიერებმა უნდა ისაუბრონ, იმდენად მდიდარია თავისი შემცველობით, ქვაკუთხედით. ეს ყველაფერი კომპოზიციაში არის ქართული ენა. არ შეიძლება ქართული ენა განკერძოებით იდგეს ასეთი მდიდარი ქართველური ენებისგან და ისინი სასიცოცხლო ენერგიის გარეშე დავტოვოთ. საბედნიეროდ, ეს ენები მაინც ცოცხლობს, ნარჩუნდება. დააკვირდით, როგორ ვღიზიანდებით, როცა ორი მეგრელი ერთმანეთთან მეგრულად ლაპარაკობს, რადგან მათი არ გვესმის. ისინი მეგრულ ენას არ კარგავენ, რითაც, უპირველესად, ქართულ ენას უფრთხილდებიან.

— ქართულ ენაზე გამართული ქართულით საუბარს ვერც ტელეეკრანიდან მოისმენ და ვერც სადმე სხვაგან...

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ტელევიზიის წამყვანებს რომ ვუსმენ, მათი მეტყველება კრიტიკას ვერ უძლებს. ამბობენ, რამდენიმე დღის უკან ესა და ეს მოხდაო. უკან მთელი საუკუნეებია. მრავლობით რიცხვს მხოლობითში ურევენ და რომელი ერთი ჩამოვთვალო. მე იცით, რა მიკვირს? — აი, ხომ იქმნება შრომის, სურსათის უვნებლობის, უსაფრთხოების სამსახურები, ენასთან დაკავშირებით რატომ არ გვაქვს ანალოგიური სამსახური?! ტელევიზიებში ჟურნალისტები ისე საუბრობენ, ეს ძველ დროში რომ მომხდარიყო, სამსახური არცერთს აღარ ექნებოდა. მათ მთელი ერი უსმენს და ნუთუ ელემენტარულ ქართულ ენას არ უნდა ფლობდნენ?! პირველ რიგში, სწორედ ენასთან დაკავშირებით უნდა შემუშავდეს უსაფრთხოების მექანიზმები. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გაიღოს, რათა ენა, ანუ სულიერება, ზნეობა შევინარჩუნოთ.

ახალგაზრდები და არამარტო ისინი, 9 აპრილის ისტორიულ მნიშვნელობას აკნინებენ, ამ დღეს ქომაგები გამოუჩნდნენ, რომლებიც მემორიალზე როკავენ. ჩემი მეგობარი ქალბატონი, 1989 წლის 9 აპრილს სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ახლა მემორიალთან მივიდა, გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად და იცით, რა ჰკითხეს „გუშაგებმა“: ქალბატონო, მემორიალთან მისასვლელი საშვი თუ გაქვთო? ჩემმა მეგობარმა მიუგო: საშვი რად მინდა, მე 1989 წლის 9 აპრილის აქციის მონაწილე ვარო. მაშინ გვითხარი, ომი ვინ დაიწყოო?! ხვდებით, რა ხდება? გახსოვთ, კანონიერ ქურდებს რომ ეკითხებოდნენ: ქურდი ხარ? — არაო. მაშინ ქურდებს შეაგინეო. ანალოგიური პოზიციით ხვდებოდნენ 9 აპრილის მონაწილეებს ეს „გუშაგები“. მეც ვმონაწილეობდი 9 აპრილის აქციებში. მემორიალთან ვერ წავედი და საკუთარ თავს ვაწყდები. დიახ, არ მივედი, რადგან შარს ავერიდე. მე რომ 9 აპრილს მიტინგზე დავდიოდი და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ვიბრძოდი, სად იყვნენ მაშინ „პოლიტპატიმრების“ მშობლები?! მათ ქართველი ხალხის თვალში 9 აპრილის დიდება შერყვნეს. იგივეს ეცადნენ 14 აპრილს — დედაენის დღესაც. ნეტავ, აქამდე სად იყვნენ, როდიდან იკლავენ თავს ენის აღორძინებისთვის?! საზოგადოებამ შეიძლება ბევრი რამ მოითმინოს, განხეთქილებაც მოხდეს, მამაკაცები ჯარშიც წავიდნენ და ქვეყნისთვის სისხლი დაღვარონ, მაგრამ ენას მხოლოდ საზოგადოება ვერ გაუფრთხილდება. ენა ხელისუფლებამ შესაბამისი კანონმდებლობით უნდა დაიცვას. დიახ, საზოგადოების აქტიურობის ფონზე, ხელისუფლებამ ენა კანონით უნდა დაიცვას, რაც მის აღორძინებას შეუწყობს ხელს.

თამარ შველიძე

ენა დედაა ერისა...

„საერთო გაზეთი“ შეძლებისდაგვარად ჯაბირობს სენშეყრილი ქართული ენის საშველად, მაგრამ ჯერჯერობით, იმედისმომცემი ნათება არ გამოჭიატებულა ჩაშავებულ ქართულ სამეტყველო სივრცეში. ყველა, ცალ-ცალკე, თითქოს რაღაცას ცდილობს, მაგრამ ამაოდ, ერთიანი ძლიერი სურვილის შეკრება და მოქმედებაში მოყვანა ვერ ხერხდება.

ვფიქრობდი, ნეტავ, რა არის ამის მიზეზი-მეთქი და იმ ერთი ფრაზით მოერგო გასაღები, რომელიც ჩემს კოლეგას თბილისში ერთი დღით ჩამოსულმა ფერეიდანელმა ქართველმა უთხრა: „რაგვარ ქართულით უბნობთ, არაფერი მომდისო“.

„მომდის“ — ჩემამდე არ მოდის — ადრესატს არ მისდის სიტყვიერი ინფორმაცია ენობრივი ხარვეზის გამო. სხვათაშორის, თუში დღესაც ასე იტყვის „რაგვერთა ქართულით ამბობთ, არაიც არ მომდის“.

ახლა, აქეთა მხარეს ვკითხოთ — ზმნა, „არაფერი მომდის“, ესმის როგორც „არაფერი მემართებაო“.

ჩემი სტუმრის, დაღესტანში მცხოვრები ქართველის ნათქვამს დავამატებ, რომელიც მხოლოდ ექვსი წელი არ იყო ნამყოფი საქართველოში: ეს რანაირი ლაპარაკი გისწავლიათ, რატომ იჩლექენ ენას, რატომ წელავენ სიტყვებს და რატომ აკეთებენ უცნაურ მახვილებს ცალკეულ მარცვალზე, გაუგებარი ხდება აზრის მყისიერი აღქმაო.

„გასაღები“ ის არის, რომ არ ესმის ქართული ლაპარაკი იმ ქართველთა ჯგუფს, ვისაც უნდა ესმოდეს — 2005 წლიდან, იმის შემდეგ, რაც საქართველო „ბოლონიის პროცესს“ შეუერთდა, ქართულ ენასთან დაკავშირებით, მურვან-ყრუობა დაემართა ყველას ...

დღევანდელი ქართველები ორ ძირითად, ქართულ-სომხური ანუ ე.წ „ქალაქური“ და ქართულ-ამერიკული ე.წ „სვეტსკი“, (ეს კიდევ, რატომღაც ისევ უცხო ენაზე, რუსული ფორმით უნდა ითქვას) და კიდევ მრავალ განშტოებიან ქართულად ვმეტყველებთ, გააჩნია ამა თუ იმ ადამიანის საცხოვრებელ ადგილს, საზოგადოებრივ მდგომარეობას, კონტაქტებს და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ძალიან ჭკვიანმა ძალამ უმტკივნეულოდ და შეფარულად განახორციელა შეტევა ქართულ ენაზე, პირდაპირ გაიმეორა ბაბილონის გოდოლის მშენებლების ერთიანი პირის მოშლის მაგალითი.

ვდგავართ ცალკეული ადამიანები და მოვთქვამთ, საქმეს კი ვერ ვაკეთებთ, რადგან ერის უპირველესი საუნჯე — ქართული ენის სიწმინდე, როგორც ჩანს, ხელისუფლების ინტერესში არ არის, ჯერ სხვა საქმეები აქვს...

ცალკეული ადამიანები დიდი მონდომებით ცდილობენ თავიანთი წვლილის შეტანას „ავადმყოფი ქართული ენის გადარჩენაში“, მაგრამ არავის ესმის მათი ნათქვამი...

პირველი შეტევა პირადობის მოწმობიდან ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოშლითა და მამის სახელის ამოძიკვით დაიწყო ახალი საუკუნის დადგომისთანავე, თითქოსდა, მამის სახელი რუსულის მიმბაძველობით იყო გადმოღებული. კი, მაგრამ, ეროვნებაც რუსული „ფენომენია“ და იმიტომ ამოიღეს?

მიჭირს ხოლმე „კაჭკაჭი“ ზრდასრული ადამიანების მასწავლებლობა, რადგან ანი არ იცის და ჰოე როგორ გავაგებინო? — მამის სახელის მატარებელია ქართული გვარები, აბა, რა არის გვარებში „ძე“ და „შვილი“ დაბოლოებები, ხოლო ქართული გვარები რომ არსებობდა მამის სახელით, რუსეთი კი არა, როსის ტომი ჯერ კიდევ კენკრას დაეძებდა ტყეში, რადგან VI საუკუნე იყო...

მამის კი არა, პაპის სახელი დღემდე დასდევს ადამიანს საქართველოს მთაში, დღემდე „გოთანთ ლადოს ქალია“ დედაჩემი თუშებისთვის — მამის სახელიც მოსდევს და პაპისაც!

წარმომავლობა, ჯიშიან ცხოველს უწერია საბუთში, ჩვენ კი ოფიციალურად დაგვავიწყეს „ვისი გორისა ვართ“ — ამას ვინ უშველის?

მიზეზთა გამო თარიღი კარგად მახსოვს, — 2000 წელი იყო, როდესაც ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა მითხრა: „ეროვნება რომ არ გაინტერესებდეს, ან ამერიკელი უნდა იყო, ან „რამკიანი“ ქურდი, მათ კანონებში არ არსებობს ეროვნება. მთავარი რა არის იცით, სანამ ხალხი არ მიხვდება, რომ ბულატ ოკუჯავა რუსია, იაკობ ტრიპოლსკი კი ქართველი, არ გამოვა არაფერი. რუსს იმას ათქმევინებ, ბელა ახმადულინა დონელი კაზაკიაო?

მოდიან ჟურნალისტები, ასე ჰქვიათ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი აქვთ დამთავრებული, — რა უნდა და რატომ მოვიდა, თვითონ არ იცის, ისეთ ენაზე გელაპარაკება, რას გეკითხება, ვერ გაიგებ...

ომი ვის უნდა გამოუცხადო, თუ გინდა რომ საქართველო დაამხო? — რა თქმა უნდა, ქართულ მწერლობას. ვინ უცხადებს ომს? — რა თქმა უნდა, უწიგნური კაცი... და მომიკალცლექსა:

„ბოლო-ბოლო
გავაკეთოთ ანალიზი;
რაც დღეს
პარლამენტში ხდება,
ამას ჰქვია ანანიზმი“

ეს ის დრო იყო, როცა ცხონებული ვახტანგ გოგუაძე მეუბნებოდა: — „ამერიკული ბობმბი რომ ჩამოაგდონ თბილისში, „უიმე, დედა, რა კარგი ბომბია! ასე იტყვიანო“...

ეროვნების გრაფა ამოშალეს, ენა მიგვიჩირთიფირთეს და დაგვრჩა საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არაფერი აღარ აქვს. აღარც ეროვნება, შესაბამისად — ერის სიდიადის ისტორია, აღაც ენა, — მამაც აღარ ჰყავს, ყველა ერთი მამით არის შექმნილი და მაინც ვინ არის, ასეთი უხსენებელი რომ სახელი არ ვიცით, ეგეც არ ვიცით — ცარიელ-ტარიელი მსოფლიო მოქალაქეა.

საქართველოს ყველა მოქალაქეს, ქართველის გარდა, ისტორიული სამშობლო აქვს, ზოგ მათგანს, სულაც ერთი ხელის გაწვდენაზე, თანაც, ენაც შენარჩუნებული აქვთ და ადათ-წესებიც, თუ მოისურვებენ, ნებისმიერ დროს შეუერთდებიან თვისტომელებს, — ჩვენ რა ვქნათ, საქართველოში დაბადებულ-გაზრილმა ქართველებმა, როცა არავის უკითხავს, ისე ამოგვშალეს ერების სიიდან, როცა იმასღა ვკითხულობთ, სხვა საქართველო კი არა, თვით საქართველო სად არისო?

როდესაც ქართველს საკუთარი ენა შესისხლხორცებული არ გაქვს, მაგრამ კარგად იცი სხვა რომელიმე ენა, რეალურად, სრულფასოვანი ქართველი არ ხარ. არასრულფასოვანი ქართველისთვის კი, რა თქმა უნდა, ნაკლებღირებულია ყოველივე ქართული, უარესიც — სამარცხვინო...

ვისაც სასკოლო ასაკის მოზარდი ჰყავს სახლში, დამეთანხმება, რომ ქართულის სახელმძღვანელოები სკოლაში, „ისე რა,“ სიმბოლურადაა. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროგრამა ისეა შედგენილი, მოზარდი მხოლოდ ყურს აჩვევს „რაღაც“ გვარებს, ვთქვათ, წერეთელს, ჭავჭავაძეს, ინანიშვილს და ა. შ. ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ მთლად ვერ გადააგდებენ სადღაც, ჯერჯერობით მაინც, თორემ სხვაფრივ, არანაირი დატვირთვა არ აქვს ქართულის გაკვეთილებს. ქართული ენის გრამატიკა კი საერთოდ აღარავის აინტერესებს — რთული რომ არის, ეტყობა, ძალიან გააბრაზა ვიღაც საკუთარმა უინტელექტობამ და მიაგდეს სადღაც აკაკი შანიძის რუდუნებით შექმნილი ქართული ენის გრამატიკა...

ამ მდგომარეობაში არიან მოზარდები — აგერ სახელმძღვანელო და აგერ ერთი გვერდი — დამთავრებულია საშინაო დავალება.

ენაზე აცრილი კაჭკაჭივით მეტყველებენ ქართველი ბავშვები ინგლისურად, ქართულად კი აზრს ვერ აყალიბებენ... რატომ უნდა მკითხოს შვილიშვილმა, „თუ იაკობ გოგებაშვილია „დედა ენის“ შემქმნელი, სხვა ვიღაცის „დედა ენას“ რატომ მასწავლიანო?“

რამდენიმე წლის წინათ, ერთ-ერთ გაზეთში ჩემთვის დღემდე „მოუნელებელ“ განცხადებას წავაწყდი: „გვესაჭიროება 25 წლამდე ხაჭაპურის მცხობელი და ხინკლის მომხვევი. აუცილებელია ინგლისურის ცოდნა, კომპიუტერის ცოდნა სასურველია“ — ამის შემდეგ, რაღა უნდა თქვა, — სახეზეა მძიმე ენობრივი ეპიდემია!

უცხოელისთვის ჯერ კიდევ რაღაცას წარმოვადგენთ, მისთვის უცხოობის გამო უნიკალური ვჩანვართ, მაგრამ ვინც ამ „ქვაბში“ ვართ, ხომ ვიცით სადაც ვართ „მიმწვრები“...

ჟურნალისტურ სფეროში მყოფს, მიუხედავად იმისა, რომ სრულებით არ მეხალისება, ხშირად მიწევს სხვათა საუბრების გაშიფრვა. როდესაც საუბრის დროს რომელიმე მათგანს უყურებ, გესმის რასაც ამბობს, მაგრამ აბა, სცადეთ, სიტყვა-სიტყვით ფურცელზე გადაიტანეთ და აზრის გამოსატანად მას მიეცით, ვისაც წარმოდგენა არ აქვს ვინ საუბრობს და რის შესახებ გამოთქვამს აზრს, გაიგებს რას ამბობს? — ვერ გაიგებს.

2005 წლიდან იმდენი უჩიჩინეს მოზარდებს, დააჯერეს, რომ ქართველი არანაირი განსაკუთრებული ერი არ არის; რომ ქართველებს, ისევე, როგორც ყველა სხვა ერის წარმომადგენელს ოთხი ჯგუფის სისხლი აქვს, ორი ფეხი, ორი ხელი, ორი თვალი და ა.შ; რომ ბიზნესის ენა ინგლისურია; რომ ინგლისური მსოფლიო ენაა; რომ ინგლისურის გარეშე არარაობა ხარ და ა.შ. თუმცა, იმას არ გვეუბნებიან, რომ შექსპირის ენაზე კი არა, ამერიკულ ე.წ „სლენგის“ ცოდნაზეა საუბარი, — დიდ ბრიტანეთში სპეციალური კანონი მიიღეს, რითიც „შექსპირის ენის“ დანაგვიანებისგან იცავენ...

ყველა ენის ცოდნა დასაფასებელია, მაგრამ მშობლიური ენის დამცირება-დაკარგვის ხარჯზე? — არ დავეთანხმები!

თურქეთმა, ყურანზე აღზრდილმა მუსლიმანურმა ქვეყანამ, მიუხედავად იმისა, რომ „ყურანი“ არაბულადაა დაწერული, სასტიკი ბრძოლა ოფიციალურ დონეზე გამოუცხადა „არაბიზმებს“, — ჩვენ?

სანამ არ დავიბრუნებთ ქართულ ენას, ვერ დავიბრუნებთ საქართველოს!

განა საკამათოა, რომ ქართული ცნობიერება ქართული ენის არსებობის გარეშე ვერ იქნება?

„ივენთ ჰოლი“, „ლაივი“, „ფართი“, „სეილი“, „სეივი“... რატომ არის მიუღებელი ვთქვათ, „სეილის“ ნაცვლად „ფასდაკლება“, „სეივის“ ნაცვლად „დამახსოვრება“, „ლაივის“ ნაცვლად „პირდაპირი“, „ფართის“ ნაცვლად „წვეულება“, „ბულინგი“ და ა. შ.

ქართულ ენას რომ „აბულინგებენ“ ასე უნდა ბულინგი... ძირძველ ქართულ სიტყვას რომ დავწერ, რედაქციაში მისწორებენ, მკითხველები ვერ გაიგებენო — მათი პრობლემა მე რატომ მაწვება ზურგზე? სწორედაც რომ უნდა დავწერო მეც და სხვამაც და ასეც უნდა ვისაუბროთ!

გადავიტანეთ როგორღაც ყველა ხმლით მოსული დამპყრობელი, გადავიტანეთ, იმიტომ რომ ხმლით



ღიად მოდიოდა მტერი და წინააღმდეგობას ხმლითვე ვუწევდით; გადავიტანეთ იმიტომ, რომ მტერს ვუწოდებდით მტერს, მოყვარეს — მოყვარეს; ახლა კი, თვალთმაქცურად მოსული მტერი მოღალატე ქართველების ხელით ღიმილ-ღიმილით ქართველებს ერთმანეთზე მტრად გვკიდებს; მეგობრის მანტიამოსხმულმა მტერმა მოყვარის ცნება გააქრობინა მედროვე ქართველებს და გამოთავისუფლებულ „ნიშაში“ მტერმა დაირქვა „მოყვარე“.

„გოიმობად“ შეირაცხა სამშობლოსთვის მტრადქცეული ქართველებისავე ძალისხმევით ყველა ქართული დიალექტი, სალარო, საიდანაც ქართული ენა იკვებება მარგალიტებად შენახული ამოუწურავი სიტყვების მარაგით...

როგორ გაბრწყინდება საქართველო, როდესაც მესია ქართულ ენაზე მოვა, მისი გამგები კი აღარავინ იქნება?

მაია ჭელიძე

„ილაპარაკეთ, გევედრებით... ოღონდ ქართულად... ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ...“

სანამ უხილავი და უსახელო კრებსითი ვინმე ქართულად ლაპარაკს, წერა-კითხვასა და აზროვნებას ბოლომდე აგვიკრძალავს, საგაზეთოდ მაინც ვთქვათ მოკლედ, რომ ქართველი „პურისტები“, რომელთა შორის იყვნენ ნიკო ნიკოლაძის შვილები, რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები, უდიდესი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით შემთხვევით არ გაერთიანებულან, რათა შეექმნათ დარგობრივი ტერმინოლოგიის ლექსიკონი ქართულ ენაზე. 1920 წელს გამოქვეყნდა კიდეც ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი, ანუ სიტყვარი.

„არცერთი არაქართული სიტყვა! ქართულს აქვს შესაძლებლობა, რომ ნებისმიერ ლათინურ ტერმინს შეუსატყვისოს ეროვნული სიტყვა!“ — ასეთი იყო მათი ხედვა.

რა თქმა უნდა, იმ დროშიც იყვნენ „გზააბნეული ქართველი ევროპელები“, რომლებიც „პურისტებს“ ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ იმარჯვეს „ძალიან ქართველებმა“ და ასე მივიღეთ „ზედმეტად ქართული“ ლექსიკონი.

ყველაფრის სათავე უცოდინრობაა. ადამიანი, შეიძლება, განათლებული იყოს, მაგრამ კონკრეტული მიმართულებით სრული უცოდინარი ბრძანდებოდეს და მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეულ წრეებში ავტორიტეტი აქვს, რატომ უნდა ჩაბარდეს ის მიმართულება, რომელზეც წარმოდგენაც კი არ აქვს?

ქართულ ენაში, ყველა მეზობლიდან თუ დამპყრობლიდან უამრავი სიტყვაა შემოსული, რომელსაც ქართული შესატყვისი აქვს, თანაც, რამდენიმე სახით. ვიღაცა ხარ, რატომ უწყობ ხელს ბარბარიზმების დამკვიდრებას, როდესაც შენი მშვენიერი ქართული ენა გაქვს? — ეს შენი სამშობლოს მტრობაა!

„გოგებაშვილი ამბობდა, ცხრა წლამდე არ შეიძლება სხვა ენის სწავლაო. მიუხედავად დიდი თაყვანისცემისა გოგებაშვილის მიმართ, მე წინააღმდეგი ვარ, — ნებისმიერ წლამდე არ შეიძლება! ჯერ უნდა მოხდეს მისი ფორმირება მის ენაზე, კულტურაზე, მის ზნე-ჩვეულებაზე, მის გვარზე, მის ჯილაგზე!.. ეროვნება ამოიღეს, მამის სახელი ამოგვიღეს, გვარსაც ამოგვიღებენ, ალბათ, — ვინ არიან ესენი, ეს ხალხი, გამაგებინეთ, ერთი!“ — ბობოქრობდა ოტია იოსელიანი.

საერთაშორისო ტერმინები რომ მოსწონთ და ერცხვინებათ თავიანთი მშობლიური ქართული ენა, სწორედ ეს არის ტვინის გამორეცხვის ერთ-ერთი შედეგი...

დღევანდელი რუსიფობიური გამოხდომების ფონზე განსაკუთრებით გამოჩნდა უცოდინრობა. ბევრი სიტყვა, რომელიც ევროპიდან არის შესული რუსეთში და რუსულიდან ქართულში, რუსული ჰგონიათ და მის ჩანაცვლებას ინგლისურით ცდილობენ.

ისინი, ვინც ქართულ ენაში რუსულ გავლენაზე საუბრობენ, ან უმეცრები არიან, ან შეგნებული მავნებლები, რადგან სიმართლის თქმა არ უნდათ და ცრუობენ.

რუსულიდან ქართულში ბევრი ინდოევროპული ძირის მქონე სიტყვა და ლათინური ძირის ფრანგული სიტყვა შემოვიდა. ასე რომ, რუსული ენის გავლენით, ქართული ენა ნაწილობრივ „გაევროპელდა“. მაგალითად: პრიორიტეტული — უპირატესი; რეზულტატი — შედეგი; ექსპერიმენტი — ცდა; კომფორტი — სიმყუდროვე; კომპენსაცია — ანაზღაურება; ტალანტი — ნიჭი; ნეგატიური — უარყოფითი; კორუფცია — მექრთამეობა და ა. შ. უამრავი.

ერთია, რომ რომელიღაც ევროპული ენიდან შემოსული სიტყვებით არის ჩანაცვლებული ქართული სიტყვები და უმთავრესი — საშინელებაა უცოდინარი ბრბო!

ინსტრუქცია (ლათ.) — დარიგება, ქართულად რჩევა, რას გვიშავებს ნეტავ? და ასეთი უამრავი, მაგალითად, ლაღ ქართულად: დეტონატორი (ამჭექი), ჰიგრომეტრი (ნესტმზომი), ფოსფორაცია (თვითნათობა), ფრურესცენცია (მნათობა), ფოტომეტრი (შუქმზომი), პიკნომეტრი (სიმკვრივმზომი), ელექტრომეტრი (ელმზომი) და ა. შ.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ქართველი „პურისტების“ ბევრმა ტერმინმა მაინც დაიმკვიდრა ადგილი და ენის ბუნებრივ ნაწილად იქცა. მაგალითად: დენი, ძრავა, სადენი, წნეხი, ხსნარი, ძალოსანი, ფეხბურთი და სხვა მრავალი.

ეჭვი მაქვს, რომ ხელოვნურად შექმნილი ქართული ტერმინის მიღება იმთავითვე იმ ჯგუფს არ უნდა, რომელსაც ქართული ფესვი არ აქვს, შესაბამისად, ქვეცნობიერი სიძულვილი აქვს ყოველივე ქართულის მიმართ.

სწორედ ამიტომ დასცინიან ქართულ ტერმინებს და ეწინააღმდეგებიან მის მიღებას, ცდილობენ, უცხოური პროგრესად წარმოაჩინონ, ქართული კი — ჩამორჩენად. სხვანაირად როგორ აიხსნება ის, რომ ტერმინთშემოქმედება, ზოგადად, ხელოვნურია და, მაგალითად, თანამედროვე კომპიუტერული ინგლისური ტერმინოლოგია, მათი ტერმინთშემოქმედება რატომ არ არის სასაცილო? კომპიუტერთან მუშაობის დროს „თაგვზე“ გვიდევს ხელი?

„ზედმეტად ქართული“ ტერმინთშემოქმედება უფრო მავნებელია ქართული ენისთვის, თუ ტერმინთშემოქმედებით მიღებული სიტყვების ბერძნულიდან, არაბულიდან, თურქულიდან, სპარსულიდან, რუსულიდან, ფრანგულიდან, ინგლისურიდან და ა. შ. სიტყვების უცვლელად გადმოტანა?

საერთაშორისო სიტყვებად რომ შემოგვასაღეს, იქნებ, სულაც არ არის საერთაშორისო?

ინგლისურ ენაში, რომელიც ბარბარიზმების ძირითადი წყაროა თანამედროვე ქართულისთვის, ლექსიკის 60% ლათინური და ფრანგული ძირის სიტყვებია.

ენას აქვს ორი არჩევანი: ახალი ცნებებისთვის ქმნის სიტყვებს მშობლიური ენის რესურსით, ან სიტყვა შემოაქვს, როგორც უცხო სიტყვა. ბევრი ენა ირჩევს მშობლიურს. მაგალითად, კომპიუტერის შესატყვისი ფრანგულში არის **ordinateur**, ირლანდიურში — **riomhaire.** ინტერნეტი ირლანდიურად არის **an t-idirlion**, პრეზიდენტი — **uachtaran** და ა. შ.

ბარბარიზმი არის ენაში შემოტანილი ისეთი უცხო სიტყვა, რომელსაც ამ ენაში შესატყვისი აქვს, ხშირად რამდენიმეც კი და ამ ბარბარიზმის ასილიმილაცია ენაში არ ხდება.

რა სიტყვაა „დააფდეითება“ (განახლება), დაკლიკვა (დაწკაპუნება), დალაიქება (მოწონება), დათაგვა (მონიშვნა), დაფორვარდება (გადაგზავნა), დაქენსელება (გაუქმება), დისემინაცია (გავრცელება), დრაივი (მუხტი), ევალუაცია (შეფასება) და ა. შ. ქართული შესატყვისები რითია სამარცხვინო, დასაცინ მდგომარეობაში რატომ ვიგდებთ თავს?

მაგალითად, უცხო სიტყვა „ასპირანტი“ ქართულში შემოსულია რუსულიდან და ნიშნავს ასპირანტ სტუდენტს; იგივე ძირის სიტყვა, ამჯერად ინგლისურიდან შემოვიდა და გამოიყენება ნატო-ში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებთან მიმართებაში — „ასპირანტი ქვეყანა“. რეალურად კი, ინგლისური სიტყვის „ასპირანტ“, რომელიც ნაწარმოებია ზმნისგან „ტო ასპირე“ (სწრაფვა), შესატყვისებია: მაძიებელი, ან თუნდაც კანდიდატი, პრეტენდენტი, — ასეთი მაგალითი უამრავია.

ინგლისურ ენაში არის სიტყვები, რომლებსაც ფართო მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად, ქართულში დასამკვიდრებლად შემოტანილი „ფასილიტატორი“. ინგლისურად ფასილიტატორ — ფასილიტატიონ ნიშნავს შემსუბუქებას, გაადვილებას, გაიოლებას. შესაბამისად, ის, რაც აადვილებს, ამსუბუქებს, ხელს უწყობს რაიმეს, კერძოდ: სასწავლო პროცესს, დისკუსიას, სამუშაო შეხვედრას და ა. შ. ინგლისური განმარტებიდან ჩანს, რომ იგი არ ერევა უშუალოდ პროცესში, არამედ, მიმართულებას აძლევს რომელიმე კუთხით. ენაში არის ბევრი სიტყვა, ქართულიც და უცხო ენიდან შემოსული და დამკვიდრებული, რომელიც „ფასილიტატორის“ მნიშვნელობას გადმოსცემს ერთი და არა მრავალი სიტყვით. ინსპირაცია — შთაგონება, კრეატიული — შემოქმედებითი და ა. შ. რითი იწუნებენ ქართულ ენას „ახალ ქართველებად“ გამოსაყვანი ახალგაზრდები, ეს ხომ გამიზნულად ნიადაგგამზადებული მოვლენაა და არა ცალკეული შემთხვევები...

უცხო ენის სწავლება მშობლიური ენის გარეშე ყოვლად დაუშვებელია, არადა, სწორედ ასე ხდება! საქართველოში გავრცელებული

უცხო ენების სწავლების მეთოდები მაქსიმალურად არის ორიენტირებული მშობლიური ენის განდევნაზე სასწავლო პროცესიდან ერთენოვანი ლექსიკონების საშუალებით, რაც თავისთავად, ქართულის სრულად განდევნის წინაპირობაა. მოკლედ, ასარჩევად ცუდსა და უარესსი დაგვიდეს...

ვის შემოაქვს ეს ინგლისური ბარბარიზმები და რა მეთოდებით? ინგლისური ბარბარიზმების მნიშვნელოვანი წყაროა: უცხოეთში განათლებამიღებული ქართველი, განსაკუთრებით, თუ ის პოლიტიკოსად, „ექსპერტად“ ან ნჯო-ს წარმომადგენლად „გაიზარდა“. ეს კატეგორია ჩანს სხვაზე ბევრად მეტად ეკრანზე და მათი შეგნებული თუ შეუგნებელი მეტყველებიდან ვრცელდება; ე. წ. ტრენინგები, რომელიც ეფუძნება ინგლისურენოვან მასალას და რომლებსაც უტარებენ ყველას — მასწავლებელი იქნება, ბანკირი თუ ეკონომისტი.

ზოგადად, დაკვირვებიხართ რანაირად მეტყველებენ?

ისე საუბრობენ, თითქოს მოსდევდნენ და ირბინა — მეტყველებენ აჩქარებულები, ყლაპავენ ბგერებს, ზოგ შემთხვევაში, მარცვალს და მკვეთრ მახვილებს აკეთებენ სიტყვის დაბოლოებებზე, რაც ქართულ ენას არასდროს ჰქონია. ასეთ მეტყველებას ბარბარიზმები ერთვის და რა ენაზე საუბრობს ეს ადამიანი, ვეღარ იგებ. ასეთ მეტყველებას ისმენს ბავშვი და უკვე გაზრდილი, სწორედ ამ გაუგებარ ენაზე მეტყველებს და იმეტყველებს.

ლექსიკის მარაგის უქონლობის გამო რომ „ანუ“ და „ესე იგი-თ“ იწყებენ წინადადებას და ურთავენ „ხო ხვდები?“ — ეს ცალკე უბედურებაა — რას უნდა მივხვდე, როცა ჯერ არაფერი გითქვამს, ანდა, მისახვედრად რატომ მიხდი საქმეს თუ რაიმეს ამბობ, ანუ რეალურად, ვერ ამბობ?

ქართულ ენაზე გავლენას ახდენდა, ვთქვათ, აზიური და ყველა მეზობელი ქვეყნის ენა, მაგრამ ეს ბუნებრივად ხდებოდა და ქართულ სალიტერატურო ენაზე გავლენას ვერ ახდენდა, „ქუჩაშივე“ რჩებოდა, ახლა კი ანგლოსაქსური ენის პირდაპირი და გამიზნული თავდასხმა სახეზეა!

ენა ცოცხალი ორგანიზმია და დასაბამიდან განიცდის ცვლილებას, მაგრამ ახლა იმდენად სახიფათოდ პროცესები მიმდინარეობს, თუ ეს ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობა არ შეჩერდა და ასე გაგრძელდა, ჩვენი დარბაისული ენიდან პირველყოფილი გადაძახილიღა დაგვრჩება — ჰაიიიი! ჰოოო!. საქმე ის გახლავთ, რომ ქართული ენის სტრუქტურა და მისი სამყარო ისე იცვლება, საგანგაშო მდგომარეობაა!

აუცილებელია ენის ნორმებისა და სწავლის წესების გადახედვა!

მშობელს უხარია, როდესაც მის პატარას საბავშვო ბაღიდან ასწავლიან უცხო ენას, ან პირველი კლასიდან ნორმად აქციეს უცხო ენის სწავლება. არადა, ამ ასაკში ბავშვის სამეტყველო სისტემა ქართული ენის სრულფასოვნად სამეტყველოდ არ არის მომზადებული, არათუ სხვა ენისთვის.

იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენა“ შეუქმნა პატარებს და, მას მაინც დაუჯერეთ, თუ ოტია იოსელიანისას არ შეისმენთ!...

ქართული ენის სწავლა ფონეტიკით იწყება!

მაია ჭელიძე

ვისთვისაც ევროპული დიქტატი მისაღებია, მას ქართველობა დაკარგული აქვს

რამაზ საყვარელიძე: საოცარი ტენდენციაა, ადრე საბჭოთა კავშირი თუ არ მოგწონდა, არანორმალური იყავი, ახლა კი არანორმალური მაშინ ხარ, თუ ევროპა მოგწონს. არადა, სავსებით შესაძლებელია, არც ერთი მოგწონდეს და არც მეორე, არამედ თვითმყოფადობა გინდოდეს. ილია რომ ამბობდა: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო, რუსეთისგან გათავისუფლებას გულისხმობდა. მას რომ ენახა, ახლა რა დღეშია საქართველო და როგორ ცდილობს დასავლეთი ჩვენს ფეხქვეშ გაგებას, განა იგივეს არ იტყოდა მისი მისამართით?! ქართულ ენაზე გულშემატკივარი ილია, რომელსაც მშობლიურ ენაზე რუსული ენის გავლენა, მისი ჩამორჩენილობა გულს უწუხებდა, განა არ შეშფოთდებოდა იმ ქართულის გამგონე, დღეს ქართველები რომ მეტყველებენ?! საბჭოთა პერიოდში ჩვენ რუსულ გავლენას განვიცდიდით, მით უფრო, დასაწყისში. მახსენდება ვახუშტი კოტეტიშვილი, რომელიც რუსულად ბრწყინვალედ საუბრობდა, ოღონდ ხაზგასმით, ქართული აქცენტით. ანუ, ქართულ რუსულს ლაპარაკობდა, რაზეც თვითონაც ეცინებოდა. ვახუშტი ამბობდა: რუსები ჩემს რუსულზე გიჟდებიან, მაგრამ თან მოსწონთო. მას ქართველობაში ბევრი ვერ შეეჯიბრებოდა. ვახუშტი რუსულ კულტურას შესანიშნავად იცნობდა. დიახ, ქართველებმა რუსული იცოდნენ, მაგრამ ისე, რომ რუსული ენის ცოდნით ქართულ ენას აძლიერებდნენ, განსაკუთრებით ისეთი ბატონიშვილები, როგორიც კოტეტიშვილი იყო.

აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირში ერთადერთი იყო, სადაც საკუთარი ქვეყნის ისტორია ისწავლებოდა. დიახ, ახლა „წითელ ინტელიგენციას“ აუგად მოიხსენიებენ, მაგრამ სწორედ მან გააკეთა ის, რომ იმ დროს საქართველოს ისტორიას ყველა ფაკულტეტზე ასწავლიდნენ. ჩვენ რუსული ენის გავლენისგან შინაგანმა ანტირუსობამ დაგვიცვა. ჩვენ ოჯახში ისე გვზრდიდნენ, როგორც რუსეთის მიმართ მიუღებლობის მქონე პიროვნებებს. ფილოსოფიის ფაკულტეტზე დეკანის მოადგილე ვიყავი, მეხვეწებოდნენ, კომუნისტურ პარტიაში შემოდიო, მაგრამ არ შევედი. ასე ვიზრდებოდით ახალგაზრდობის დიდი ნაწილი. თუმცა, აქვე იზრდებოდნენ ისეთი ადამიანები, რომელიც რუსეთთან ურთიერთობაში ყველაფერზე წამსვლელი იყვნენ. ასე რომ, ქართველების ანტირუსულობამ მეტი რუსული გავლენისგან დაგვიცვა. თუმცა, ეს ჯანსაღი ანტირუსულობა იყო. რუსულ კულტურასაც ვიცნობდით და სხვა დანარჩენსაც, მაგრამ არ გვინდოდა, ჩვენ გავმხდარიყავით რუსები. ეს იყო ანტირუსულობის არსი. რაც შეეხება ევროპელობას, კი ბატონო, ეცი პატივი ევროპულ ფასეულობებს, ოღონდ, ნუ ეცდები, რომ ევროპელი გახდე, ქართველად დარჩი. ეს გაგება დღეს აღარ არსებობს. დღეს რატომღაც ბევრ ჩვენგანში ევროპელად გახდომა უფრო საშური და სასურველია, ვიდრე ქართველად ყოფნა, რაც არასასურველი ტენდენციაა. სწორედ ამ ტენდენციის ფონზე იტყოდა ახლა ილია: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო. იმიტომ, რომ ილია იმას კი არ ჩიოდა, ქართულად ვილაპარაკებდით, თუ რუსულად, არამედ იმას, ადამიანი თავის თავს რად აღიქვამს, რად მიაჩნია, სად არის მისი თავისუფლების ზღვარი. თუკი მას არ სურს რუსულის დიქტატი, მაშინ იგი შინაგანად თავისუფალია, ფიზიკურად ეს რომც ვერ მოახერხოს. აი, თუკი რუსული დიქტატი კი არ ზღუდავს, მისთვის ეს კომფორტულია, მაშინ იგი გარუსებულია. ახლა იგივე ევროპიზაციაზე გადმოვიტანოთ — ვისთვისაც ევროპული დიქტატი მისაღები და კომფორტულია, მას ქართველობა დაკარგული აქვს. ასეთი ადამიანი ამბობს: ჩვენი თავი ჩვენ არ უნდა გვეყუდნოდესო. ისინი საქართველოს უცხოური გავლენისგან კი არ დაიცავენ, იმ უცხო გავლენას სიხარულით მიიღებენ. ეს არის დღევანდელი პრობლემა. ასეთი პრობლემა საქართველოს არაერთხელ ჰქონია, იგივე, სპარსელებთან, თურქებთან, მონღოლებთან ურთიერთობაში. გარკვეული გავლენა ყოველთვის არსებობდა. აგერ, „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული გავლენით, ესთეტიკით დაწერილი პოემაა. მერე ამან გადაიარა და უკვე ამ გავლენებისგან დამოუკიდებლობის მიღწევაც მოვახერხეთ. თავის დროზე რუსული გავლენაც ძალიან დიდი იყო. ილია სწორედ ამას აუჯანყდა, რადგან ნიკოლოზის მეფობის დროს ქართველებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს არსებობა დამთავრდა და რუსეთის გუბერნიად ვიქეცით. მაშინ რუსული გაზეთები გამოდიოდა, ცხოვრება რუსულენოვანი იყო. აქ უკვე „თერგდალეულებმა“ თავიანთი უმძიმესი ჯვარის ტარება დაიწყეს, ატარეს კიდეც ბოლომდე და, ფაქტობრივად, ქართული სული, გონება მენტალურად გადაარჩინეს. ამან თავის შედეგები გამოიღო. ილიას, მამას იმიტომ უწოდებენ, რომ მან ქართული სულის გადარჩენა შეძლო აბსოლუტურად გარუსებულ გარემოში. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ასეთი ადამიანები ისევ გამოჩნდნენ. ისინი ასეთ გავლენებს უფრო ღრმად გააანალიზებენ, მეტ ყურადღებას სულიერ მხარეს მიაქცევენ და დამოუკიდებლად ყოფნა, მერე უკვე ახალი ამოცანა გაზდება იმ ეტაპზე, როცა საქართველო უფრო ინტენსიურად ჩაერთვება ევროპული ქვეყნების ცხოვრებაში.

ესაუბრა
თამარ შველიძე

როგორ ვმეტყველებთ...

სახელმწიფო მინისტრი:

1. „ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ჩვენი დახმარების ხელი მათ აღმოვუჩინოთ“;
2. „მიუხედავად იმისა, რომ ეს ძნელია აღსაქმნელად“;
3. „ისინი შეუდგებიან აღსრულებას საკუთარი ვალდებულების შესრულებისა“;
4. „განგრძობადობის პერსპექტივაში, იმედოვნების თვალსაზრისით, რუსეთი ამ ტექნიკას არ გამოიყენებს“;
5. „იმდაგვარად, რამდაგვარადაც ჩვენთან ინფორმაციის კომუნიკაციას მათგან ადგილი არ ჰქონია“;
6. „საქართველოში ნამდვილად არსებობს არჩევანის სითავისუფლე“.

სატელევიზიო შოუს წამყვანი:

1. „რა არის ის, რაც გვაჯენს ამდენ მაყურებელს“;
2. როგორ აგყვა სხვა ეროვნების ადამიანები“;
3. „კერძოდ, ესპანეთს მივაშურე“;
4. „ე. ი. წელს სისადავეს ვაწვებით“;
5. „ორად მაქვს გაყოფილი მეხსიერება, ერთი მიშვერილია მობილურისაკენ“;
6. „ვიტეხავთ ხელებს, ფეხებს ყოველდღე“;
7. „მე ველი გულმოუთქმელად“;

8. „ისინი არ არიან ერთნი“ (ბევრნი არიანო, ანსამბლ „მზიურის“ წევრები იგულისხმა - ქ. ბ.).

რადიოგადაცემის წამყვანი:

1. „ჩვენს ეთერში მუსიკალური ხვერწნები გრძელდება“;
2. „დღეს მე კვლავ მხოლობით რიცხვში ვიმოღვაწევებ“ (მეწყვილის გარეშე ვიმუშავებო. - ქ. ბ.);
3. „ახლა კი ხვალინდელი ამინდის ვარაუდებს გაგანდობთ“.

ტანსაცმლის დიზაინერი:

„ამჯერად მინიატურულ ბალიშებში გადავწყდი“.

სატელევიზიო შოუს წამყვანი:

1. „შეგეშვები ეხლა შენ, რაგან ვატყობ ახურდი, გაწითლდი“(ლ. ბუღაძეს უთხრა. - ქ. ბ.);
2. „ანუ მათი ხმარა შეგიძლიათ საქმიანათაც“ (ფეხბურთელებზე - შოთი და აჩი არველაძეებზე თქვა. - ქ. ბ.);
3. „თუ გინდათ მეგობარი, მოდით, ჩქარა წაიყვანეთ, ვიჩუქებით ძაან მაგარ ძაღლს“;
4. „თქვენთვის კუთვნილი ცირკის ბილეთები“;
5. „გილხინთ თუ გიწყინთ, თუ ბარიერების გატანაა საჭირო...“;
6. „ჩვენ საერთო ბავშვობა გვქონდა“;
7. „სწორედ დღეს ნახა ადამიანებმა“;
8. „სკოლა ისეთი ინტიმია, რომელიც არ დაიშლება არასდროს“;
9. „საგარეჯო, თელავი, რაჭა - აი ასეთი სამი კუთხე გვაქვს“;
10. „სადაც იქნება ლექსის თქმა, კაიფი (კაფია იგულისხმა. - ქ. ბ.), სიმღერა“;
11. „არ ითხოვდა ჩემს კონტაქტს წიგნს და მას შორის“;
12. „როცა ლხინდა, მაშინაც გვერძე ედგა ყველა“;
13. „გაოცებული ვარ ხო იცი, არ, ვერ ვაჩერებ ჩემს გაოგნებას“;
14. „ხალხი ბუინობს“;
15. „რაღაცა ნაღების წევრი ვარო და სვეცკი გოგო ვარო“;
16. „როდესაც პირდაპირ ჩაალაგე გუდა-ნაბადი და გადახვედი პარიზში“;
17. „დაჟინებული მზერით მიყურებდა“;
18. „არ შეხედავდი - ნივიჟუს დაურტყავდი“;

16 გვ.

კოვიდ-პანდემია – კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული „ოპერაცია“

რამდენიმე დღის წინ სასტუმრო „ბესთ ვესტერნში“ ექიმთა სამეცნიერო საგანგებო კონფერენცია გაიმართა. როგორც მისმა ორგანიზატორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა თინათინ თოფურიამ აღნიშნა, რომ დღეს პანდემიის თემა ისევ აქტუალურია. საქმე ის არის, რომ ჯანმო-ს დირექტორი კვლავ გააქტიურდა და ახალ პანდემიას აანონსებს, როგორც გარაუვალ ფაქტს. გლობალისტები კვლავ გააქტიურდნენ. ახლახან მათ მორიგი რეპეტიცია მოაწყვეს, ანუ ახალი პანდემია გაითამაშეს.

ამჯერად გთავაზობთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის თინათინ გოცაძის გამოსვლას, რომელიც კოვიდ-პანდემიის ვაქცინებს შეეხებოდა.

„ფაიზერის“ და „მოდერნას“ ვაქცინები უშვილობას იწვევს?

ცნობილია, რომ მსოფლიო მასშტაბით კოვიდ-ვაქცინაციამ 17 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს ციფრი გაცილებით მეტია, ვიდრე ბოლო ათი წლის განმავლობაში მსოფლიოში გამოყენებულ ვაქცინებს უმსხვერპლიათ. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ვაქცინები გამოიყენეს, ადამიანებს გაუკეთეს და ახლა იკვლევენ. კომპანია ფაიზერის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა მაიკლ იდონმა გამოაქვეყნა სტატია, როგორ მოქმედებდა ფერტილობაზე კოვიდ-ვაქცინები. ქართველი ექიმებიც ხშირად აღვნიშნავდით, რომ **RNM** ტექნოლოგიით დამზადებული ვაქცინები (იგულისხმება ფაიზერი და მოდერნა) ფერტილობაზე შესწავლილი არ იყო. მაიკლ იდონმა საბოლოოდ დაადასტურა, თუ რატომ იწვევს ფაიზერისა და მოდერნას ვაქცინები უშვილობას. საქმე ის არის, რომ რომ **RNM** მოლეკულა ლიპიდურ ნანონაწილაკშია შეფუთული, რომლის მეშვეობითაც უშუალოდ სათესლე ქსოვილს მიეწოდება. როგორც ირკვევა, ეს ვაქცინები 99,9%-ით მამაკაცთა სტერილიზაციაზე იყო გათვლილი. ანუ, **RNM** ტექნოლოგიით დამზადებული ვაქცინებით, პრაქტიკულად, სისრულეში მოიყვანეს მომავალი თაობების სტერილიზაციისა და უშვილობის გეგმა.

ვაქცინა თუ ბიოლოგიური იარაღი?!

ავსტრალიაში პორტ ჰედლანდში გაიმართა საგანგებო კრება, რაც დამკრძალავი ბიუროს გენერალური დირექტორის აღშფოთებას მოჰყვა. დღევანდელი მონაცემებით, ავსტრალიაში სიკვდილიანობამ 700-ჯერ მოიმატა. სხვათა შორის, დასავლეთ ავსტრალიაში არის რამდენიმე ქალაქი, რომელთაც „ვაქცინირებულთა ქალაქს“ უწოდებენ, სადაც აცრილი მოსახლეობის 100% ფიქსირდება. დამკრძალავი ბიუროს დირექტორის თქმით, თუკი ადრე მისი ბიურო კვირაში ერთ ადამიანს კრძალავდა, ახლა ყოველდღე, ორი ადამიანის დაკრძალვა უწევთ.

წერილში, რომელიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრს გადაუგზავნეს, ავსტრალია ისევე, როგორც იაპონია, არგენტინა და სხვა ქვეყნები, მსოფლიო ბაზრიდან **RNM** ტექნოლოგიების ვაქცინების ჩახსნას ითხოვენ, რადგან, როგორც თავად აცხადებენ, ეს ბიოლოგიური იარაღია.

ცნობილი კანადელი მეცნიერის, მოლეკულური ბიოლოგის დევიდ სპაიჩერის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ავსტრალიაში დამკრძალავი ბიუროს წევრებმა, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, შეისწავლეს, რა იყო ამა თუ იმ ადამიანის გარდაცვალების მიზეზი. როგორც აღმოჩნდა, უხშირესად ეს გახლავთ ღვიძლისა და თირკმლის კიბო. დღეს ტურბო კანცერზე ძალიან ბევრი ინფორმაცია ვრცელდება. ის, რომ ვაქცინირებულებს ასეთი ვერაგი და ელვისებურად განვითარებადი სიმსივნე ემუქრებათ, საეჭვო აღარ არის. კანადელმა ექსპერტმა, ისევე, როგორც ბრიტანელმა ონკოლოგმა ანგუს დალგლიშმა, ტურბო კანცერის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად **RNM** ტექნოლოგიის ვაქცინებში, კონკრეტულად, ფაიზერსა და მოდერნაში, **SV-40**-ის კანცეროგენის არსებობა დაასახელეს. კანადელებმა ფაიზერის ვაქცინის თერთმეტი პარტია შეისწავლეს (ყველა ქვეყანაში სხვადასხვა პარტიები გამოიყენებოდა) და ყველა მათგანში **SV-40** აღმოჩნდა. ეს გახლავთ პოლიომა ვირუსი, რომელსაც მაიმუნის ვირუსსაც უწოდებენ, რომელიც თავის დროზე, 1950-60-იან წლებში გაეპარათ თუ შეგნებულად იყო ჩაშვებული ამ პოლიომელიტის ვაქცინაში, არავინ იცის. უფრო სწორად, არაერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ეს მიზანმიმართულად მოხდა. ასე რომ, ტურბო კანცერის გამომწვევი მიზეზი, გარდა ბევრი სხვა კომპონენტისა, მათ შორის, მძიმე მეტალებისა, არის **SV-40.** დალგლიში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ნივთიერება ის ვერაგი კომპონენტია, რომელსაც ექსპერიმენტული მოდელებისთვის იყენებენ. კერძოდ, ვირთაგვებში შეჰვყავთ, რათა სიმსივნე გამოიწვიონ. პრაქტიკულად, ფაიზერით და მოდერნათი ვაქცინირებული ადამიანი, რაოდენ მწარეც უნდა იყოს ამ ინფორმაციის მოსმენა, სიმსივნის რისკ-ჯგუფში ხვდება. ხშირ შემთხვევაში კი, სიმსივნის მსხვერპლია.

რატომ არის საშიში ბავშვებში კოვიდ-ვაქცინაცია?!

კიდევ ერთი საინტერესო კვლევა, 2024 წლის ბოლოს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მთავარმა მეცნიერმა სტეფანი სენევმა ჩაატარა. მისი დასკვნით, იმუნოდეფიციტისა და იმუნური სისტემის დაქვეითების მიზეზი, რაც ვაქცინირებულებში ვლინდება, ნანონაწილაკებში შეფუთული **RNM** მოლეკულები და შემდეგ მათ მიერ პროვოცირებული სპაიკცილებია, რომლებიც ტოტალურად აზიანებენ თიმუსს. მოგეხსენებათ, ეს არის მკერდუკანა ჯირკვალი, რომელიც იმუნური სისტემის ცენტრალური ლიმფოიდური ორგანოა. სენევისა და მისი გუნდის კვლევებით დადგინდა, რომ აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით საშიშია ბავშვთა და მოზარდთა ვაქცინაცია, რადგან თიმუსი — მკერდუკანა ჯირკვალი, ასაკთან ერთად ევოლუციას განიცდის და მისი ცხიმოვანი უჯრედებით ჩანაცვლება ხდება. მაგრამ ახალგაზრდა ასაკში, სანამ იმუნური სისტემის ფუნქცია მასზეა დამოკიდებული, ის, პრაქტიკულად, ნადგურდება. სწორედ ეს აღმოაჩინა სენევმა, ფაიზერით და მოდერნათი აცრილ ადამიანებში. ამიტომ ვაქცინირებულების იმუნური სტატუსი, ფაქტობრივად, ნულამდე ეცემა და ისინი სხვა ვერაგი დაავადებების მიმართ მოწყვლადი ხდებიან.

აქვე გეტყვით, რომ ვაქცინებში აღმოჩენილია უჩვეულო კომპონენტები, მათ შორის, მძიმე მეტალები: დარიშხანი, კადმიუმი, ქრომი და სხვა. საოცარია, მაგრამ არგენტინელების მიერ ჩატარებულ კვლევაში, ჩამოთვლილია 55 ძალიან მავნე ტოქსინი, კერძოდ, ლანთანოიდი, რომელიც მოდერნას და ფაიზერის ვაქცინებში აღმოჩნდა. მასში შერეულია ისეთი მძიმე მეტალები, როგორებიც ლანთანი, ცერიუმი და გადოლინიუმია. მათ მძიმე ტოქსიკური გავლენა აქვთ და ღვიძლის, თირკმლის, სასქესო ორგანოებისა და გულის კუნთის უჯრედებს აზიანებენ. სწორედ ამის გამო, დღეს არგენტინა აშშ-ს უერთდება და ჯანმო-ს დატოვებას კატეგორიულად მოითხოვს.

მოგახსენებთ, სკანდალურ ინფორმაციას, რომლის დეტალების კვლევა შოტლანდიაში ახლაც გრძელდება და ბრიტანეთის კლინიკებში ევთანაზიის მიზანმიმართულად გამოყენებას გულისხმობს, რათა პაციენტები სიცოცხლისთვის გამოესალმებინათ. დიახ, ოჯახის წევრებთან შეთანხმების გარეშე, მილიონობით პაციენტს ევთანაზიას უქვემდებარებდნენ და შემდეგ კოვიდით გარდაცვლილთა სიას მიაწერდნენ. ასე გაწირეს მილიონობით ადამიანი. არგენტინა, ბრიტანეთი, იაპონია, თავად აშშ-იც ამ მიზანმიმართულ გენოციდზე ხმას იმაღლებენ, საქართველო კი დუმს. მგონი, დროა, ჩვენც დავაყენოთ საკითხი, შესაბამისმა ორგანოებმა გამოიძიონ, რა მოხდა რეალურად. ელემენტარულად, მოვითხოვოთ, შემოწმდეს ვაქცინების ის პარტიები, რომელიც ჩვენთან შემოიტანეს და კოვიდ-მკურნალობის სქემები.

„სადისტი მედდების“ საქმე

მაგალითად, ბრიტანეთის მთავრობას უჩივიან, რადგან ირკვევა, რომ მას წინასწარ ჰყავდა დაქირავებული მედდების ნაწილი, რომლებიც პაციენტებს ევთანაზიას უქვემდებარებდნენ. ბრიტანეთში ეს საქმე „სადისტი მედდების“ სახელით არის ცნობილი. ეს მედდები მიიმალნენ, თუმცა რამდენიმე მათგანი დაკავებულია და აღიარებითი ჩვენებებიც მისცეს. ეს ფაქტი ფარდას ხდის იმას, თუ რა ვერაგი ოპერაცია ჩაატარეს კაცობრიობის წინააღმდეგ. ბრიტანეთის ცნობილი პარლამენტარი ენდრიუ ბრიჯენი კოვიდ-პანდემიის პერიოდში ხმალამოღებული იბრძოდა მის ქვეყანაში პრეპარატ მილაზოლამის გამოყენების აკრძალვაზე. ეს გახლავთ სედატიური საშუალება, რომელსაც კოვიდის სამკურნალოდ იყენებდნენ და რომელიც მარტივად უწყობდა ხელს სიკვდილს. აშშ-ში ამ პრეპარატს ისედაც სასიკვდილო განაჩენისთვის იყენებენ. ენდრიუ ბრიჯენი გახლავთ ადამიანი, რომელიც სიკვდილით დასჯას აპროტესტებდა, მაგრამ ამ ყველაფრის მერე, მან ბრიტანეთის პარლამენტში განაცხადა, რომ სიკვდლით დასჯა უნდა აღდგეს და კოვიდ-პანდემიის ყველა შემოქმედი დაისაჯოს.

კოვიდ-ვაქცინაში დნმ-ის ფრაგმენტები აღმოჩნდა

დროა, საქართველოშიც დავაყენოთ ჯანდაცვის სამინისტროს თუ დაავადებათა კონტროლის პალატის რიგი წევრების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ჩართული იყო იმ „ოპერაციაში“, რომელშიც ჩვენმა ქვეყანამ თავი ამოყო.

დასასრულ, კიდევ ერთი საგანგაშო ინფორმაციის შესახებ მოგახსენებთ. სლოვაკმა დეპუტატმა პიტერ კოტლარმა, რომელიც ექიმი გახლავთ, რობერტ კენედის და აშშ-ის გენერალურ პროკურორს წერილით მიმართა. საქმე ეხება მის მიერ ფაიზერის ვაქცინის 34 პარტიაში ჩატარებულ კვლევას, რომელშიც დნმ-ის ფრაგმენტები აღმოჩნდა, რაც ნიშნავს, რომ **RNM** ტექნოლოგიით დამზადებული ვაქცინებით აცრილი ადამიანების ორგანიზმის გენმოდიფიცირება მოახდინეს. გარდა ამისა, როგორც ირკვევა, 34 პარტიიდან 11-ში, **RNM** -ის შემცველობაზე გაცილებით მეტი, დნმ-ის ფრაგმენტებია. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული მოლეკულები ძალიან მარტივად ინტეგრირდებიან ადამიანების უჯრედების ბირთვში, გენურ მასალაში და გენურ მუტაციას გამოიწვევენ, რაც ძალიან საშიშია სიმსივნის განვითარებისა და უჯრედთა კვდომის — ნეკროზის კუთხით. აქედან გამომდინარე, სლოვაკეთი განგაშს ტეხს, კაცობრიობაზე ჩატარებული არგაგონილი ექსპერიმენტის გამო, როდესაც ადამიანებს აინფიცირებ და მათ ორგანიზმში ისეთი ნივთიერება შეგყავს, რომელიც მას გენმოდიფიცირებულ ორგანიზმად გადააქცევს. აქ უკვე ძახილის ნიშანია დასასმელი. რა იქნება გენური მოდიფიცირების შედეგები, ამას კაცობრიობა კიდევ მოიმკის. ასე რომ, ფხიზლად ვიყოთ, ვიბრძოლოთ და, რაც მთავარია, კოვიდ-პანდემიაში მონაწილე დამნაშავეებს პასუხი საქართველოშიც ვაგებინოთ.

თამარ შველიძე

არ გინდოდათ რძე და ყველი?!

არ დაივჯერებთ, პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო მიზნის მქონე პირები უცხოური ორგანიზაციების მხარდაჭერით ლექციის, სემინარის ან სხვა მსგავსი საჯარო ღონისძიების მოწყობას ვეღარ შეძლებენ.

გესმით? უცხოელების მხარდაჭერით „მავნები“ მავნებლობას რომ სჩადიოდნენ და გოგო-ბიჭებს ტვინებს უმღვრევდნენ, მაგას ვეღარ შეძლებენ. ეს კანონი საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით ამ დღეებში მიიღო.

კიდევ ერთი, ამიერიდან უცხოური გრანტის მიღებას მთავრობის ან მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის თანხმობა დასჭირდება - თანხმობის გარეშე გაცემული გრანტის მიღება აკრძალული იქნება და პასუხისმგებლობის დაკისრებას გამოიწვევს. ეს ცვლილება „გრანტების შესახებ“ კანონში შევიდა, რომელიც პარლამენტში ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა. აკრძალული გრანტის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას აღნიშნული გრანტის ორმაგი ოდენობით. მთავრობის სავალდებულო თანხმობის წესი არ ვრცელდება საერთაშორისო სპორტული ასოციაციის, ფედერაციისა და კომიტეტის მიერ გრანტის გაცემაზე, საქართველოს საზღვრებს გარეთ საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებისთვის და სამეცნიერო მუშაობისთვის გაცემულ ინდივიდუალურ სტიპენდიაზე, ასევე, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გრანტის მიღებაზე.

როგორც ხედავთ, გრანტიჭამიების სამოქმედო არეალი და „საბლატაო“ სივრცე ძალიან ვიწროვდება და იმედია, ქვეყანაც შედარებით დაისვენებს. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს გაქნილი ავანტიურისტები რამე ისეთს ვერ მოიფიქრებენ, რომ კანონებს თავი აარიდონ, მაგრამ ასეთი ფართო ასპარეზი მაინც ვერ ექნებათ. არასამთავრობო კარტელები საერთოდ უნდა გაუქმდეს, ეს სფერო, ყველამ ვიცით, ყალთაბანდებისა და თაღლითების თავშესაფარია, რომლებიც დროთა განმავლობაში ისე ზულუქდებიან, რომ შემდეგ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზეც კი ფიქრობენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ სუსტი და გაუაზრებელი ხელისუფლება გვყოლოდა, ესენი აქამდე ჩაიგდებდნენ ხელში ძალაუფლებას და საერთოდ გაა-პარტახებდნენ ქვეყანას.

ისე, რა უნდოდათ, რაზე იწვალეს, ხომ იყვნენ უზრუნველყოფილნი, ხომ ჰქონდათ რძე და ყველი? იწვალეს, ქვეყანაც აწვალეს და მიიღეს რა? - მხოლოდ სამი თითის კომბინაცია.

„ბრძენი“ შოთა

როგორც შოთა უტიაშვილი აცხადებს, რუსებმა გადაწყვიტეს, რომ ბიძინა ივანიშვილი დაბერდა და მას ირაკლი კობახიძით ჩაანაცვლებენ. რატომ გადაწყვიტეს რუსებმა, რომ ივანიშვილი დაბერდა? იმიტომ, რომ საქართველოს გადაცემა რუსეთისთვის ძალიან ჭიანურდება, ხომ იცით, როცა ადამიანი ბერდება, აზროვნებაც უნელდება, ზანტდება.

ვინ არის შოთა უტიაშვილი? იგი არის ჩვენი ქვეყნის პატრიოტი, თავის დროზე იყო ვანო მერაბიშვილის გონი, შსს-ის ანალიტიკური დეპარტამენტის „უმფროსი“. დიახ, იყო დრო, როცა ეს ვეებერთელა ძალოვანი სტრუქტურა შოთას გონსა და ანალიტიკურ აზროვნებაზე იდგა. ეგ კი არა, 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც გამოაჩინა თავისი „ნიჭივრული“ აზროვნება, გამოდიოდა ტელევიზორში, იდგა რუკასთან გეოგრაფიის მასწავლებელივით და ბრძნული გამომეტყველებით გადმოსცემდა, სად და რანაირად იდგნენ ქართველი სამხედროები. რა თქმა უნდა, ამით ისარგებლეს რუსებმა და ქვა ქვაზე აღარ დატოვეს გორის მიდამოებში. განა უნდოდა? არ უნდოდა, მაგრამ ადამიანს პატრიოტიზმი რომ შეგიჩნდება და დედულ-მამულის სიყვარული მოსვენებას არ მოგცემს, შეიძლება რაღაცა არასწორად გამოგივიდეს.

სხვათა შორის, შოთას ყველაზე დიდი ღირსება ის გახლავთ, რომ ტელეწამყვან „კვნესოს“ ქმარია. საქართველოში ქმრობა ვის უკვირს, მაგრამ ეგ საპატიო ქმარია. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შოთა, ძირითადად, „კვნესოს“ იდეებით მოქმედებს. ვრცელდება ჭორი, თითქოს ბიძინა ივანიშვილის დაბერების ამბავი ჯერ „კვნესომ“ გამოიძია, შემდეგ კი ეს გამოძიებული შოთამ აიტაცა. ისე, ძაან მაგრები არიან ეს რუსები, ვისაც უნდათ, აბერებენ, ვისაც უნდათ - აახალგაზრდავებენ. რა, პუტინი არ გააახალგაზრდავეს? კაცს ასაკი ემატება და არ ბერდება.

ღმერთო, გთხოვ, საქართველოში შოთასავით არავინ გამააქლიავო. თუ გამააქლიავებ კიდე, სადმე გადამალე, რათა თავისი „ბრძნული“ აზრებით არ შეგვაწუხოს.

გელა ზედელაშვილი

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...“

როგორც ამბობენ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. რამდენი ხანია, მინდა ნაპოლეონ მესხიას მოღვაწეობას და მის მიერ გამოცემულ წიგნებს გამოვეხმაურო: „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ და „კონცეპტუალურ-ინოვაციური მიდგომა და მეთოდები ნეიროქირურგიაში“, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ეს ვერ მოვახერხე. ამ დუმილს თავისი მიზეზი ჰქონდა — ათი წელია, ავადმყოფობის გამო საწოლს ვარ მიჯაჭვული.

ნაპოლეონ მესხიას მოღვაწეობისა და მისი წიგნების შესახებ გამოხმაურება და კომენტარები აქვთ გაკეთებული აკადემიკოსებს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებსა და გამოჩენილ მოღვაწეებს, რომელთა შეფასებებს მე ვერაფერს დავუმატებ, მხოლოდ მათთან სოლიდარული ვიქნები.

ნაპოლეონ მესხია

მე და ნაპოლეონ მესხია აფხაზეთში, გალის რაიონში დავიბადეთ და გავიზარდეთ. თანაკლასელები ვიყავით, დავამთავრეთ გალის მესამე რუსული საშუალო სკოლა. ამდენად, მე უფრო კარგად ვიცნობ მას, ვიდრე სხვა. სკოლაში ნაპო ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებით, უნარებით, პრინციპულობით. ეს თვისებები მას მთელი ცხოვრების განმავლობაში მოჰყვება. სკოლის დამთავრების შემდეგ ნაპომ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, მე კი — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი. ნაპომ სწავლა მოსკოვში, აკად. ნ. ბურდენკოს სახ. ნეიროქირურგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში განაგრძო, მე კი სამუშაოდ სოხუმში, საპროექტო ინსტიტუტში გამანაწილეს არქიტექტორად. ასპირანტურის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ნაპო აფხაზეთში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო ჩემ მიერ დაპროექტებულ და აშენებულ სოფ. ვლადიმიროვკის (გულრიფშის რ-ნი) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც ნეიროქირურგიულ განყოფილება გასნა, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით ნაპო სოხუმში გადავიდა მის მიერვე დაარსებულ ნეიროქირურგიულ ცენტრში, სადაც აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებამდე მუშაობდა.

ნაპომ ცხოვრების მეტად რთული და ტრაგიკული წლები განვლო შვილების დაღუპვის გამო, მაგრამ მუშაობა არ შეუწყვეტია. სულიერად ძლიერი ადამიანი განაგრძობდა მუშაობას ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ნაპოს ათასობით მეტად რთული ნეიროქირურგიული ოპერაცია აქვს გაკეთებული. ის მრავალი ახალი მეთოდის ავტორი და ცნობილი ქირურგი გახდა არა მარტო აფხაზეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ჩემი აზრით, სამართლიანი იქნება, სოხუმის ნეიროქირურგიულ ცენტრს მიენიჭოს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნაპოლეონ მესხიას სახელი.

კონფლიქტის დროს ნაპო აფხაზეთის პარლამენტის წევრად აირჩიეს და განსაკუთრებული აქტიურობის გამო მას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელეს. დესტრუქციული ძალების მოქმედებით არჩევნები ბევრჯერ ჩაიშალა, ბოლოს პრეზიდენტმა ვ. არძინბამ ამ თანამდებობაზე თავისი კანდიდატი დანიშნა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნაპოლეონ მესხიას არჩევის შემთხვევაში, აფხაზეთში კონფლიქტი მოგვარდებოდა და არც ომი იქნებოდა. ამ კონფლიქტით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, გაეცნონ მისი ავტორობით გამოცემულ წიგნს „როგორ გახსვისდა აფხაზეთი“, რომელშიც სრული სიმართლეა აღწერილი.

ორიოდე სიტყვით მინდა გამოვეხმაურო უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს. გარე ძალების მიერ რომ არ იყოს ინსპირირებული ეს ძმათამკვლელი ომი, რუსები, უკრაინელები და ბელორუსები ასეთ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდნენ. უკრაინაში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარება დადებითად იმოქმედებს საქართველოზე. იმედია, ამერიკის ახალარჩეული მთავრობა ამას მოაგვარებს. ამის შემდეგ, ჩვენი წარმატებული მთავრობა, ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შეძლებს.

P.S. მე უკვე 87 წლის ვარ. ჩემი ოცნებაა, სიცოცხლეშივე მოვესწრო აფხაზეთში დაბრუნებას. თუმცა, როგორც ქართველებს გვჩვევია, სიკვდილის შემდეგ მეც მინდა სიცოცხლე.

წერილი კი ჩვენი დიდი პატრიოტის, პოეტისა და პუბლიცისტის სტრიქონებით მინდა დავასრულო:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ,
და მისრულია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის,
იმათი კუბოს ფიცარი...
...
ჩემი სამშობლო იქ არი“.

ჯუმბერ შვანია, აფხაზეთის დამსახურებული არქიტექტორი

მსოფლიო პოლიტიკაში ცვალებადი „ამინდია“...

მსოფლიოში პოლიტიკური მოვლენები ელვისებურად იცვლება. გამოცდილ ექსპერტ-პოლიტოლოგებსაც კი უჭირთ, ფეხი აუწყონ და გააანალიზონ არსებული სიტუაცია. ამასთან, ცალკეული ქვეყნების მმართველები რეგულარულად იცვლიან პოზიციებს. საამისო მიზეზი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ხისტი პოზიციაა.

დიახ, დონალდ ტრამპის მიერ გაზრდილი სავაჭრო ტარიფების დაწესებამ მსოფლიო საგონებელში ჩააგდო. ტრამპმა განაცხადა: „ყველა ქვეყნისთვის ტარიფების შეჩერება შესაძლოა პირდაპირი მოლაპარაკებით, მაგრამ აშშ-ის ინტერესების გათვალისწინებით“. იგი, ასევე, მოუწოდებს მსხვილ

კომპანიებს, თავიანთი საწარმოები აშშ-ში გადაიტანონ. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში ევროპის ქვეყნები აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით გერმანიის საავტომობილო მრეწველობა (და სხვა დარგებიც) ორ წელზე მეტია, დაღმასვლას განიცდის, გაზრდილი სავაჭრო ტარიფები მათ მნიშვნელოვნად გაურთულებს საქმიანობას.

ერთ-ერთი პირველი, ვინც დონალდ ტრამპს ტარიფებთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად ეწვია, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ იყო. მასპინძელმა სხვა ქვეყნებს მოუწოდა, ისრაელისგან აიღონ მაგალითი. ცნობილია, რომ აშშ და ისრაელი უახლოესი მოკავშირეები არიან, მაგრამ ტრამპმა მათ მცირე საგადასახადო ტარიფები მაინც დაუწესა. ნეთანიაჰუს თეთრ სახლში სტუმრობის შემდეგ, სავარაუდოდ, ვითარება შეიცვალა, რადგან სტუმარ-მასპინძელი ბრიფინგზე კმაყოფილი გამოიყურებოდნენ.

სავარაუდოდ, ტრამპის მუქარამ თუ ზეწოლამ გარკვეული შედეგი გამოიღო, რადგან გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტმა საჯაროდ საკმაოდ უცნაური განცხადება გააკეთა: „ცალკეული ქვეყნების ლიდერები ლამის უკანალზე მკოცნიან. მირეკავენ და მეხვეწებიან, მათთან სავაჭრო ხელშეკრულება გავაფორმო“. მისი თქმით, იგი მზად არის, გააფორმოს ხელშეკრულება საკუთარი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მძლავრი შეტევა ხორციელდება ჩინურ საქონელზე. გასულ კვირას თეთრი სახლის ადმინისტრაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დონალდ ტრამპმა ჩინურ საქონელზე 145%-იანი საგადასახადო ტარიფები დააწესა. ამის მიზეზი, როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ჩინეთის მიერ აშშ-ის ნაწარმზე საპასუხოდ გაზრდილი ტარიფებია.

გასულ კვირას გამოცემა „ბლუმბერგი“ იუწყებოდა, რომ 2025 წელს აშშ-იდან ჩინეთში ნავთობის ექსპორტი მკვეთრად შემცირდა და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ნულამდეც დაეცეს.

ევროკავშირში ისარგებლეს აშშ-იჩინეთის დაძაბული ურთიერთობით და ცდილობენ, ჩინელებთან სავაჭრო შეთანხმებას მიაღწიონ. ცნობილი გახდა, რომ ივლისში ევროკავშირის ხელმძღვანელობა პეკინში ჩასვლას გეგმავს ჩინეთ-ევროკავშირის სამიტზე მონაწილეობის მისაღებად. წლეულს, წესით, ღონისძიება ევროპაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ჩინეთის მმართველი სი ძინპინი უარს აცხადებს ბრიუსელში ჩასვლაზე. აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა სკოტ ბესენტმა ევროკავშირი გააფრთხილა, რათა ისინი ჩინეთისკენ არ გადაიხარონ, „რადგან ეს საკუთარი ყელის გამოჭრის ტოლფასი იქნება“, — ციტირებს „ბლუმბერგი“ მინისტრის გამონათქვამს. ბესენტის განცხადებით, იგი იმედოვნებს, რომ მოკავშირე ქვეყნებთან შეთანხმებას მიაღწევს, რათა „ჩინეთთან დაუბალანსებელი ვაჭრობის პრობლემის მოგვარებას“ კოლექტიურად მიუდგნენ.

აქვე სათქმელია, რომ ევროკავშის და მსგავს დიდ გაერთიანება-ორგანიზაციებს ტრამპი არ წყალობს. მას ურჩევნია, რომ ცალკეულ ქვეყნებთან კოლექტიურად კი არა, ინდივიდუალურად გააფორმოს შეთანხმებები. ამ დღეებში იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯა მელონი ვაშინგტონში ჩავა. ახლა ევროპელი ექსპერტები მკითხაობენ, მელონი მხოლოდ იტალიის ინტერესების პირობებზე გაესაუბრება ტრამპს, თუ ევროკავშირსაც გაუწევს პროტექციას.

სენსაციური აღმოჩნდა გასულ კვირას დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება — მან 75 ქვეყანას სამი თვით გადაუვადა დაწესებული ტარიფების ამოქმედება. გამოცემა „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, პრეზიდენტის გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა მისი ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამშრომლისთვისაც. ტრამპის თანაშემწეებმა კი შემდგომი შესაძლო გადაწყვეტილებების განხილვა დაიწყეს.

გასული კვირის ბოლოს მსოფლიო კიდევ ერთი მოულოდნელობის მომსწრე გახდა. აშშ-ის ვაჭრობის მინისტრის ჰოვარდ ლიუტნიკის განცხადებით, მისი ქვეყანა დროებით ათავისუფლებს სატარიფო გადასახადებისგან ელექტროსაქონლისა და ნახევრადგამტარების იმპორტს. მისივე თქმით, თეთრი სახლის ადმინისტრაცია გეგმავს, აღნიშნულ პროდუქციაზე უახლოეს თვეებში შემოიღოს სექტორალური გადასახადები. მინისტრის ინფორმაციით, შუამავლების მეშვეობით დაიწყო „რბილი დიალოგი“ ჩინეთთან. მან იმედი გამოთქვა, რომ დონალდ ტრამპი და ჩინეთის მმართველი სი ძინპინი შეძლებენ არსებული ეკონომიკური დაპირისპირების დარეგულირებას.

აღსანიშნავის ის გარემოებაც, რომ გაზრდილი ტარიფების წინააღმდეგი აღმოჩნდნენ დონალდ ტრამპის მომხრეებშიც. კერძოდ, ცნობილი მილიარდერი ილონ მასკი, რომელიც აშშ-ის სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. იგი ტარიფების შემოღების გამო ღიად დაუპირისპირდა პრეზიდენტის მრჩეველს ეკონომიკურ საკითხებში პიტერ ნავაროს და იგი უხეშადაც მოიხსენია. გასაგებია მასკის პოზიცია, ტარიფების შემორებით იგი ერთ-ერთი პირველი დაზარალდა, რადგან საწარმოები მასკს სწორედ ჩინეთში აქვს. ამის გარდა, ანალიტიკოსები პირდაპირ აცხადებენ, რომ „...ეკონომიკური დაპირისპირება, შესაძლოა, იოლად გადაიზარდოს სამხედრო კონფლიქტში“.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ კვირაში სი ძინპინი ვიზიტს განახორციელებს ვიეტნამში, მალაიზიაში და კამბოჯაში. სავარაუდოდ, აღნიშნულ ქვეყნებში მას მოლაპარაკებები სწორედ გაზრდილ ტარიფებთან დაკავშირებით ექნება. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ტრამპმა უარყო ლიუტნიკის განცხადება ელექტროსაქონელზე ტარიფების მოხსნის თაობაზე. პრეზიდენტის განცხადებით, ჯერ იმპორტირებული ხარისხის შეისწავლიან და გადაწყვეტილებას მერე მიიღებენ.

გაზრდილი ტარიფების გარდა, გასულ კვირას დიპლომატიური მოვლენები მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. პოლიტოლოგებს განსაკუთრებით აინტერესებდათ სტამბოლში გამართული აშშ-რუსეთის მორიგი მოლაპარაკების მიმდინარეობა. შეხვედრა ამჯერად არა ნეიტრალურ, არამედ რუსეთის ტერიტორიაზე, გენერალურ საკონსულოში გაიმართა. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი აშშ-ში ახალდანიშნული ელჩი ალექსანდრ დარჩიევი იყო, ხოლო აშშ-ისა — სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სონატა კოულტერი. შეხვედრა ხანგრძლივი, მაგრამ, როგორც ორივე მონაწილე ქვეყნებში აფასებენ, პროდუქტიული იყო. მოლაპარაკების დეტალები უცნობია. მხოლოდ რამდენიმე საკითხი გახდა ცნობილი. შეხვედრაზე უკრაინა-რუსეთის კონფლიქტი საერთოდ არ განუხილავთ. რუსეთმა მოითხოვა, სასწრაფოდ დაუბრუნონ ჯო ბაიდენის მმართველობის პერიოდში ჩამორთმეული დიპლომატიური ქონება. დაისვა საკითხი აშშ-რუსეთშ შორის პირდაპირი საჰაერეო მიმოსვლის აღდგენაზე.

საყოველთაო მოულოდნელობა იყო აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის, სტივენ უიტკოფის რუსეთში ჩასვლა. ვიზიტის თაობაზე არავინ იცოდა, ახლო გარემოცვის გარდა. თავად რუსმა ჟურნალისტებმა მხოლოდ ივარაუდეს, რომ სანკტ-პეტერბურგში მაღალი რანგის ჩინოვნიკი ჩავიდა, რადგან ქალაქის აეროპორტში დაჯდა თვითმფრინავი, რომელიც



სარეისო ნუსხაში არ იყო. ეჭვი გააძლერა იმ გარემოებამაც, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი მოულოდნელად ჩავიდა პეტერბურგში.

უიტკოფი სანკტ-პეტერნურგში, პრეზიდენტის ბიბლიოთეკაში მიიღო პუტინმა. შეხვედრის დეტალები, უცნობია, მხოლოდ რამდენიმე ფოტო-ვიდეოკადრი გავრცელდა. ცნობილი ერთია — დიალოგი 4,5 საათს გაგრძელდა. შეხვედრის შედეგებით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. პუტინის პრესსამსახურის ხელმძღვანელის დმიტრი პესკოვის განცხადებით, „სტივენ უიტკოფის რუსეთში ჩასვლით პუტინისა და ტრამპის შეხვედრისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია“.

რუსეთიდან უიტკოფი ომანში პუტინთან შეხვედრის დასრულებისთანავე გაემგზავრა, სადაც შუამავლების დახმარებით გაიმართა მოლაპარაკება ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან აბას არაკჩისთან. ძირითადი განსახილველი თემები ირანის მხრიდან ბირთვული პროგრამის შეჩერება და აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების მოხსნაა. შეხვედრის შედეგით დონალდ ტრამპი კმაყოფილი დარჩა, დეტალები ჯერ გასაიდუმლოებულია. შეხვედრის მეორე რაუნდი შაბათს რომში გამიართება. ამჯერად სამიტის ადგილი აშშ-მა აირჩია.

და ბოლოს, აშშ-ის ელჩი უკრაინაში ბრიჯიტ ბრინკი სამშობლოში გაიწვიეს და თანამდებობა დაატოვებინეს. ოფიციალური მიზეზი — იგი ვერ უთავსებდა ერთმანეთს პირად და პოლიტიკურ საქმიანობას. ამბობენ, რომ ელჩი მჭიდროდ იყო დაკავშირებული USAID-თან, რომელიც ტრამპმა საეჭვო ორგანიზაციად გამოაცხადა.

იმედი ვიქონიოთ, რომ მსოფლიო პოლიტიკაში მალე „გამოიდარებს“.

გია ბურდული

სიმსივნური უჯრედები და ვერცხლისწყალი



ავტორის ვინაობა ინფორმაციის მომწოდებლისთვის და შესაბამისად ჩემთვისაც, უცნობია. ამდენად, მომიტევეთ, ავტორმაც და მკითხველმაც, თუ ავტორს ვერ ვუთითებ. არადა, იმდენად საინტერესოდ მივიჩნიე წინამდებარე ინფორმაცია, რომ საჭიროდ ჩავთვალე, ფართო აუდიტორიისთვის გამეცნო და მხოლოდ მცირედი შემოკლებით წარმოგიდგინეთ...

ოცდაცხრა ქიმიური ელემენტი მიიჩნევა ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელ ქიმიურ ელემენტებად, რომელთა გარეშე ადამიანის სიცოცხლე წარმოუდგენელია...

ადამიანის სხეული დაახლოებით 99% შედგება მხოლოდ ექვსი ელემენტისგან: ჟანგბადი, წყალბადი, აზოტი, ნახშირბადი, კალციუმი და ფოსფორი. კიდევ ხუთი ელემენტი შეადგენს დარჩენილი მასის დაახლოებით 0,85%-ს: გოგირდი, კალიუმი, ნატრიუმი, ქლორი და მაგნიუმი. ყველა ეს 11 ელემენტი არსებითი ელემენტია. გარდა ამისა, ადამიანის ორგანიზმში პერიოდული სისტემიდან გვხვდება კიდევ 18 ქიმიური ელემენტი, რომელთა გარეშე ადამიანის ორგანიზმს სიცოცხლე არ შეუძლია და ეს 18 ელემენტი შეადგენს 0,15%-ს მასის მიხედვით.

აქედან ყველაზე მცირე რაოდენობით ადამიანის ორგანიზმი შეიცავს სიცოცხლისათვის ძალზედ საშიშ და ფილოსოფიურად ძალიან საინტერესო ელემენტებს. ესენია ბრომი და ვერცხლისწყალი. ფილოსოფიურად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მენდელეევის ელემენტთა პერიოდულ სისტემაში მხოლოდ ვერცხლისწყალი და ბრომი იმყოფებიან თხევად მდგომარეობაში (სხვა ელემენტი ყველა მყარ ან აირად მდგომარეობაში იმყოფება). ამასთანავე, ვერცხილსწალი ერთადერთი თხევადი მეტალია, ხოლო ბრომი ერთადერთი თხევადი არამეტალი.

ვერცხლისწყალი მბზინავი ვერცხლისფერი თხევადი ლითონია. თვითნაბადი ვერცხლისწყალი ცნობილი იყო ძველი წელთაღრიცხვით 2000-ზე მეტი წლის წინათ ინდოეთში, ჩინეთში, საბერძნეთში, რომში. გამოიყენებოდა საღებავების მისაღებად, სოფლის მეურნეობაში მავნებლებთან საბრძოლველად, ხოლო ტრადიციულ მედიცინაში: მალამოების დასამზადებლად, დაინფიცირებული ჭრილობებისა და ძვლების დაავადებების სამკურნალოდ, ჰიპოკრატეს და ევრიუფონის, ასევე ჰერაკლიდეს შრომებში ვერცხლისწყლის „ერთობ განზავებული ხსნარი, დაახლოებით 1 წვეთი პატარა ტბაში“ მოხსენიებულია, როგორც „უხორცობის“, „ორგანიზმის ძლიერი მოწამვლების და „ბოროტი სენის“ სამკურნალოდ. დაახლოებით იგივე გამოყენება ჰქონდა ვერცხლისწყალს ძველ ეგვიპტეში, რომსა და ჩინეთში, რაც ირკვევა წერილობითი წყაროების ანალიზით.

ვერცხლისწყალი მიეკუთვნება იშვიათ ელემენტთა ჯგუფს. დედამიწის ქერქში მისი შემცველობა მასის მიხედვით 4,5X10-6%-ს შეადგენს, ზღვის წყალი შეიცავს 3X10-9% ვერცხლისწყალს. დედამიწის ქერქში ის გაბნეულია, გვხვდება ყველა კონტინენტზე. ცნობილია ვერცხლისწყლის 35 მინერალი, მათგან უმთავრესია სინგური.

ძველ წყაროებში ვერცხლისწყლის სინონიმად ხშირად იხმარება არაბულიდან ნასესხები სინდიყი. მას დიამაგნიტური თვისებები გაჩნია და ბევრ ლითონთან წარმოქმნის თხევად შენადნობებს - ამალგამებს. არ ამალგამირებს მხოლოდ რკინას, მანგანუმს და ნიკელს.

ვერცხლისწყალი ნაკლებად აქტიური ლითონია. 300°C-მდე გახურების შემთხვევაში ვერცხლისწყალი შედის რეაქციაში ჟანგბადთან და წარმოიქმნება წითელი ფერის ვერცხლისწყლის ოქსიდი. ეს რეაქცია შექცევადია. ოქსიდის 340°C-ზე მაღლა გახურებისას ოქსიდი იშლება მარტივ ნივთიერებებად. ვერცხლისწყლის ოქსიდის დაშლის რეაქცია ისტორიულად არის ერთ-ერთი პირველი ხერხი ჟანგბადის მისაღებად. ვერცხლისწყლისა და გოგირდის გახურებით წარმოიქმნება კინოვარი (ვერცხლისწყლის სულფიდი).

ლითონური ვერცხლისწყალი და მისი ორთქლი ძალიან მომწამვლელია. მას შეუძლია გამოიწვიოს ძლიერი ინტოქსიკაცია. ვერცხლისწყალი და მისი შენაერთები (სულემა, კალომელი, ვერცხლისწყლის ციანიდი) აზიანებს ნერვულ სისტემას, ღვიძლს, თირკმლებს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, ჩასუნთქვის შემთხვევაში - სასუნთქ გზებს (ორგანიზმში ყველაზე ხშირად ვერცხლისწყალი სწორედ ჩასუნთქვის გზით ხვდება).

საშიშროების კლასის მიხედვით, ვერცხლისწყალი მიეკუთვნება პირველ კლასს (ძალიან საშიში ქიმიური ნივთიერება). ის გარემოს საშიში დამბინძურებელიცაა. განსაკუთრებით საშიშია მისი მოხვედრა წყალში, რადგანაც ფსკერზე არსებული მიკროორგანიზმების მოქმედებით მიმდინარეობს წყალში ხსნადი ტოქსიკური მეთილვერცხლისწყლის წარმოქმნა. ვერცხლისწყლის ორგანული ნაერთები განსაკუთრებულად ტოქსიკურია.

ელემენტი ვერცხლისწყალი უკიდურესად ტოქსიკურია ორგანიზმების უმეტესობისთვის, მათ შორის, ადამიანებისთვის. მიიჩნევა, რომ მისი მომაკვდინებელი ეფექტი გამოწვეულია გარკვეული ძირითადი მეტაბოლური ფერმენტების ფუნქციის დაბლოკვის უნარით. იმდენად ტოქსიკურია, დიდი ხანი ითვლებოდა, რომ ვერცხლისწყალს საერთოდ არ აქვს ბიოლოგიური ფუნქციები ცოცხალ სამყაროში. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო ვარაუდი მანამ, სანამ მკვლევარმა ჯგუფმა არ გამოაქვეყნა პირველი მტკიცებულება, რომ ორგანიზმების უნიკალური ჯგუფი, რომელსაც არა მხოლოდ უძლებს ეს არსება, არამედ რეალურად სარგებლობს ვერცხლისწყლის ქიმიური თვისებებით და მის გარეშე ამ ორგანიზმის სიცოცხლე ყოვლად წარმოუდგენელია.

„Nature Geoscience“-ში 2016 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ფოტოსინთეზურ მიკროორგანიზმებს, რომლებსაც მეწამულ არაგოგირდოვან ბაქტერიებს უწოდებენ, შეუძლიათ გამოიყენონ ვერცხლისწყალი, როგორც ელექტრონის მიმღები ფოტოსინთეზის დროს. ეს ბაქტერიები ახორციელებენ ფოტოსინთეზის პრიმიტიულ ფორმას, რომელიც განსხვავდება მცენარეებში გავრცელებული ფოტოსინთეზის ტიპისაგან.

ვერცხლისწყლის შემთხვევაში, როდესაც ის გადადის თავის დაბალი ჟანგვის მდგომარეობამდე დამატებითი ელექტრონების მოპოვების შემდეგ, ის ქმნის ნაკლებ ტოქსიკურ ორგანულ ნივთიერებებს, ეს უკანასკნელნი ორთქლად იქცევა და ატმოსფეროში ორთქლდება.

სწორედ მსგავსი მექანიზმი იქნა აღმოჩენილი ადამიანის სიმსივნური უჯრედების ნაწილში 2022 წელს - ბიოლოგიური ჟანგვის რეაქციებში ელექტრონების აქცეპტორს სწორედ ვერცხლისწყალი ასრულებს.

ბრომი წარმოადგენს ქიმიური ელემენტს, რომელიც არის აქტიური არამეტალი. ბრომი კოროზიული და ტოქსიკურია. ნორმალურ პირობებში მურა წითელი ფერის მძიმე სითხეა, ძალიან არასასიამოვნო სუნით.

ბრომი არის გაფანტული (მიმობნეული) ელემენტი - თუმცა ვერცხლისწყალის მსგავსად მსოფლიოს ყველა კონტინენტზე გვხვდება. მინერალები, რომელშიც შედის ბრომი მთავარ შემადგენელ კომპონენტად, ბუნებაში იშვიათად გვხვდება. ყველაზე ცნობილი მათ შორის არის ბრომარგირიტი ან ბრომირიტი. შედარებით დიდი რაოდენობით ბრომს შეიცავს ზღვის წყალი, მინერალური წყლები და ზღვის წყალმცენარეები. ცნობილია ზოგიერთი ღრუბელი, მოლუსკები და მარჯნები, რომელთა სხეულები ძირითადად შედგება ბრომის ორგანული ნაერთებისაგან. უძველესი დროიდან ცნობილია საღებავი პურპური, რომელიც მოიპოვებოდა ზოგიერთი სახის ზღვის მოლუსკებიდან.

ბრომი ერთადერთი არამეტალია, რომელიც ნორმალურ პირობებში არის თხევადი.

ბრომისგან ამზადებენ მედიკამენტებს შინაგანი და გარეგანი მოხმარებისათვის. მედიცინაში ნატრიუმის ბრომიდი, კალიუმის და ამონიუმის ბრომიდი გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება.

თუკი ჰაერში ბრომის შემცველობა აღწევს 0,001%-ის (მოცულობით), იწვევს ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას, თავბრუსხვევას, ხოლო უფრო მაღლი კონცენტრაციები კი - სასუნთქი გზების სპაზმს, მოგუდვას. ბრომის იონებია ტვინში, ჰიპოფიზში მაღალმოლეკულური ორგანული ნაერთის სახით.

არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ჰიპოფიზი ბრომ–ჰორმონს გამოყოფს, რომელსაც ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შეკავების უნარის აღდგენისა და გაძლიერების თვისება აქვს. ვანდერბილტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ბრომი სამყაროს 92 ბუნებრივ ქიმიურ ელემენტს შორის, ის 29-ე ელემენტია, რომელიც აუცილებელია ქსოვილის განვითარებისთვის ყველა ცხოველში, პირველყოფილი ზღვის არსებებიდან დაწყებული, ადამიანებამდე.

მკვლევარებმა აჩვენეს, რომ ბუზები იხოცებოდნენ, როცა ბრომი ამოიღეს მათი რაციონიდან, მაგრამ გადარჩნენ, როდესაც ბრომი აღდგა.

ამ აღმოჩენას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ადამიანის დაავადებაზე. „პაციენტთა მრავალ ჯგუფს გამოუვლინდა ბრომის დეფიციტი. მაგალითად, ბრომის დამატებამ შეიძლება გააუმჯობესოს დიალიზზე მყოფი პაციენტების ჯანმრთელობა, ან ტოტალურ პარენტერალურ კვებაზე მყოფი პაციენტების მდგომარეობა.

შეისწავლეს პროსტატის, სარძევე ჯირკვლის, ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოსა და ოსტეოსარკომის სიმსივნურ უჯრედებში და ასევე პროსტატის, ძუძუს, ფილტვის და ძვლოვან უჯრედებში ვერცხლისწყლისა და ბრომის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი . აღმოჩნდა, რომ ჯანმრთელი და სიმსივნური უჯრედები ბრომს დაახლოებით თანაბარი რაოდენობით შეიცავენ, უმნიშვნელოდ მეტია ჯანმრთელ უჯრედებში, ხოლო ვერცხლისწყალი სიმსივნურ უჯრედებში 38,7%-ით მეტია, ვიდრე ჯანმრთელ უჯრედებში.

საინტერესოა, რომ ეს ნაერთი ბუნებაში თავისუფალი სახით მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმებში გვხვდება, ჩვენი ინტერესი იქეთკენ მიდის, თუ რაში იყენებს სიმსივნური უჯრედები ჭარბი რაოდენობით ვერცხლისწყალს, ხომ არ მონაწილეობს ის ასევე, ისეთ პროცესებში, როგორიცაა მემბრანული პოტენციალის შექმნა. რადგანაც ცნობილია, რომ სიმსივნური უჯრედები კალიუმის შემცირებას ადვილად გადაურჩებიან, ვიდრე ჯანმრთელი უჯრედები. ხომ არ ასრულებს ვერცხლისწყალი ამ ფუნქციას?

ცნობილია, რომ დაავადებული ადამიანის ორგანიზმის მიერ გენერირებული ელექტრომაგნიტური ველი რადიკალურად განსხვავდება ჯანმრთელი ადამიანის მიერ გენერირებული ელექტრომაგნიტური ველისაგან.

და ბოლოს, რის ხარჯზე აქვს სიმსივნურ უჯრედს უფრო მაღალი ელექტრული მუხტი, ვიდრე ჯანმრთელს?

ვნახეთ, რომ სიმსივნურ უჯრედში უფრო მეტი ვერცხლისწყალია, ვიდრე ჯანმრთელ უჯრედში, ნაწილი ვერცხლისწყლის ბრომიდის სახით, ნაწილი კი - არავინ იცის...

არსებობს ვერცხლისწყლის ტუმბო? ამ შეკითხვაზეც არ გვაქვს პასუხი. თუმცა გვაქვს მეტად საინტერესო მიგნება. ვერცხლისწყალს აქვს დიამაგნიტური თვისებები. მენდელეევის პერიოდულ სისტემაში არის კიდევ 5 ელემენტი დიამაგნიტური თვისებით: ბისმუთი, ვერცხლი, ნახშირბადი, ტყვია და სპილენძი... ამათგან ყველაზე ძლიერი დიამაგნიტი ვერცხლისწყალია...

ამრიგად, მაგნიტური ველის ინდუქციის ცვლილებით შესაძლებელია, ადამიანის ორგანიზმში ვერცხლისწყლის მიერ გენერირებული მაღალი ელექტრული პოტენციალის ცვლილება ორგანიზმზე იგივე მაგნიტური ველის სხვადასხვა სიხშირის ზემოქმედებით, რაც ორგანიზმში/ორგანოში მოახდენს ელექრტული პოტენციალის გენერირების წამიერ შეწყვეტას ე. წ. „შოკურ ეფექტს“ და შემდგომში ორგანო დაიწყებს ახალი, ანუ ჯანსაღი რიტმიკით ფუნქციონირებას...

ადამიანის ორგანიზმის ელექტრომაგნიტურ ველს ქმნის 29 ქიმიური ელემენტი და ის ბიოაქტიური ნივთიერებების მოქმედებით რეგულირდება...

მაკა ჯაყელი

თვალებს არ უჯერებს



11 გვ.

19. „სხედან და მარტო აგრესიას გამოყოფენ“;
20. „მისი ტელეფონის ზარი არ აიღო.“

მსახიობი, სატელევიზიო გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი:

1. „ქმარს ლარნაკით უნდა მიართვა დილით საუზმე“;
2. „სიყვარული იმდენად მომქმედია..“;
3. „...კოსმეტიკური რძე, უფრო სწორად - მალაჩკო“;
4. „მთელი მსოფლიოს თინეიჯერები აღძრულები არიან - არის თუ არა ის მამა“;
5. „მგრძნობიარობაზეც არის დამოკიდებილი, თუ როგორ იზრდება ბავშვი“;
6. „ცხრა წლამდე ბავშვს უნდა მისცე სრული სითავისუფლე“;
7. „მოვიპარე, მოვიპარავ - როგორც გინდათ აბრუნეთ“;
8. „კლეპტომანია ძალიან განსხვავდება ქურდებსა და მათ შორის“;
9. „არა, სებობს, სებობს, იმიტომ რომ...“;
10. „მას უფრო არ ეხელწიფდბა ეს“;
11. „ადამიანი რომ იბადება, მას უკვე ტაბუ აქვს დადებული“;
12. „რაც მთავარია, მაყურებელსაც გავახსენინეთ ბავშვობა“;
13. „ფაიფურის გალამაზება დაიწყეს ჭურჭლით, ხო?“;
14. „კი, ვრისკულობ შეიძლება მაგრამ... „;
15. „ქალი ქალთან არი ჯახი“;
16. „იგივე ბაქოში მოინიშნება საკმაოდ ნაადრევი ქორწინებები“;
17. „მაქვს ნანახი მისი, რა თქმა უნდა, სურათზე ფოტო“;
18. „სახალხო წამლებს არ ვღებულობთ“;
19. „ეს არ არის გამოძახილი იმისა, რომ იჩირთიფირთო?“;
20. „ეს არი ადამიანები“;
21. „...რომელმაც ავნო კერძო სახლები“;
22. „საკმაოდ ისეთი შეხლა ჰქონდათ“;
23. „ჩვენ მივცემთ მისთვის წაუკითხავ წიგნებს“;
24. „ეს წერილი შეიცავს საკმაოდ დიდ ფართს, სადაც არის თქმული ბიბლია, ამიტომ არის სასულიერო ადამიანები მშვიდი“;
25. „გულმისასვლელობას რას უპირებ?“;
26. „კარგი დიასახლისი ყოველთვის იწყებდა ეზოთი დაგვას“;
27. „ზოგს უთაობა უყვარს“;
28. „თურქეთში ე. ი. შავი ზღვისპირა ადგილას, არავითარ შემთხვევაში ვერ შეიძენს რუსეთი, რუსის მოქალაქე“;
29. „ჩვენ სითავისუფლე გვაქვს.“

ნახატები კოტე იანტბელიძისა

დროსტარება

ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 30 აპრილს

უფრთხილდით საბავშვო საკვებს, საშიში ვიტამინები ბევრია!

რა შეიძლება იმაზე უსაფრთხო იყოს, ვიდრე მცირე ზომის ფერადი ჟელეს ვიტამინები, რომლებსაც სათამაშო მანქანებისა და ცხოველების ფორმა აქვთ? როგორც **Stiftung Warentest**-ის ექსპერტები აცხადებენ, სინამდვილეში ყველაფერი პირიქით არის. გამოკვლევებმა, რომელიც გერმანიაში ჩატარდა და რომელთა მსვლელობის დროსაც ბავშვებისთვის განკუთვნილი 18 დანამატის ანალიზი გაკეთდა, უსაფრთხოების ნორმებიდან სერიოზული გადახრები გამოავლინა. მათ შორის მხოლოდ ერთმა (!) პროდუქტმა გაიარა მკაცრი გამოცდები, იმ დროს, როცა 15 პრეპარატი ზოგიერთი ბებით დამთავრებული. კერძოდ, სპილენძის ჭარბი რაოდენობა, რომელიც „**Orthomol Junior C lus**“-ში აღმოაჩინეს, გულისრევის შეგრძნებას და ღებინებას, რაღაც დროის გასვლის შემდეგ კი ღვიძლის ფუნქციის სერიოზულ დარღვევებს იწვევს. სწორედ ამის გამო ექსპერტები მომხმარებლებს ასეთ დანამატებზე უარის თქმას ურჩევენ.

ჯანმრთელობის ფსევდოგადამრჩენები

როგორც მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევები ადასტურებენ, გერმანიაში მცხოვრებ ჯანმრთელ ბავშვებს დამატებით ვიტამინისა და მინერალის დაუშვებლად მაღალ კონცენტრაციას შეიცავდა.

თავის აქტუალურ გამოცემაში (4/2025) **Stiftung Warentest**-ი კონკრეტულ რეკომენდაციებს იძლევა: სჯობს, ასეთი პროდუქტების მიღებისგან თავი შეიკავოთ, თუ არ გინდათ, რომ ბავშვების ჯანმრთელობა დააზიანოთ.

საფრთხე ლამაზ შეფუთვაში

სპეციალისტების განსაკუთრებული შეშფოთება ხუთმა პროდუქტმა გამოიწვია, რომლებშიც A ვიტამინისა და სპილენძის სახიფათოდ მაღალი კონცენტრაცია აღმოაჩინეს („**Eastvit Easy Fishoil Multi**“, „**Djppelherz System Omega-3 Family**“, „**Centrum Kids Multi Vitamin Gummies**“, „**Hubner Multivital Kids**“ და „**Orthomol Junior C plus**“). ამ ნივთიერებებს ორგანიზმში დაგროვების შედეგად ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გამოწვევა შეუძლიათ — საშინელი თავის ტკივილიდან და კანზე გამონაყარიდან დაწყებული, ღვიძლისა და ძვლების დაავადებებით დამთავრებული. კერძოდ, სპილენძის ჭარბი რაოდენობა, რომელიც „**Orthomol Junior C lus**“-ში აღმოაჩინეს, გულისრევის შეგრძნებას და ღებინებას, რაღაც დროის გასვლის შემდეგ კი ღვიძლის ფუნქციის სერიოზულ დარღვევებს იწვევს. სწორედ ამის გამო ექსპერტები მომხმარებლებს ასეთ დანამატებზე უარის თქმას ურჩევენ.

ჯანმრთელობის ფსევდოგადამრჩენები

როგორც მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევები ადასტურებენ, გერმანიაში მცხოვრებ ჯანმრთელ ბავშვებს დამატებით ვიტამინებისა და მინერალების მიღების არანაირი საჭიროება არ გააჩნიათ. ბალანსირებული კვება მთლიანად უზრუნველყოფს ვიტამინებისა და მინერალების მათთვის საჭირო ოდენობას და დამატებით ვიტამინების მიღებისკენ სწრაფვა „ცეცხლთან თამაშს“ უფრო ჰგავს. ამ მოსაზრებას სრულად ეთანხმებიან გერმანიის კვების საზოგადოების სპეციალისტებიც.

მელატონინის ჟელე

რისკების შეფასების ფედერალური ინსტიტუტის ექსპერტების მოსაზრებით, განსაკუთრებულ საფრთხეს მელატონინის შემცველი დანამატები წარმოადგენს. მათი მიღების შემთხვევაში დროში გაწერილი ეფექტები ჯერ სათანადოდ შესწავლილი არ არის. ამიტომ ბავშვის ორგანიზმისთვის შესაძლო რისკების გამორიცხვა არ შეიძლება. დამატებითი პრობლემა ამ ჟელე-კანფეტების შეფერილობაა, რადგან ბავშვებს ისინი ტკბილეული ჰგონიათ, რაც მათი ჭარბი დოზით შემთხვევით მიღების რისკს, რასაც, შესაძლოა, არასასურველი შედეგები მოჰყვეს, ერთიორად ამაღლებს.

ძვირადღირებული ილუზიები

გარდა ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანისა, ამ დანამატებს საოჯახო ბიუჯეტისთვის სერიოზული დარტყმის მიყენება შეუძლიათ. ყველაზე ძვირადღირებული ვიტამინების ერთი დღის ნორმის ფასი 1,60 ევროა. საეჭვო სარგებლის პირობებში არსებული რისკებისას ასეთი დანახარჯები მეტი რომ არ ვთქვათ, არასერიოზულად გამოიყურება. გამოძიების განყოფილების ხელმძღვანელის ჰოლგერ ბრაკემანის სიტყვებით, მწარმოებლებისთვის ეს სერიოზული მოგების მომტანი ბიზნესია, რომლებიც სარგებელს იმ მშობლების შიშების ხარჯზე იღებენ, ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო რეკომენდაციებს რომ იგნორირებენ.

საუკეთესო წამალი ჯანსღი აზრი და ექიმის კონსულტაციაა

მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ბავშვთა ვიტამინების უმეტესობა ძვირადღირებული სიცრუეა. თუ ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ეჭვები ჩნდება, სჯობს, პედიატრს მიმართოთ. სისხლის უბრალო ანალიზი გამოავლენს ამა თუ იმ ნივთიერების უკმარისობას. ჭეშმარიტება უცვლელი რჩება: ჯანმრთელი და მრავალფეროვანი საკვები ბავშვის ყველა საჭირო ნივთიერებით უზრუნველყოფის საუკეთესო და უსაფრთხო მეთოდია.

ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ბრმად ვენდობით ევროპულ პროდუქტებს. საინტერესოა, ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ, ჩვენს ქვეყანაში შემოტანილ ბავშვთა ვიტამინებსა და სხვა პროდუქტებს ვინ შეამოწმებს, ან როგორ გავიგებთ, რამდენად უსაფრთხოა ისინი?

ბელა გველესიანი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
გელა ზედელაშვილი, თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასაგალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99